ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „ქართული ოცნება“ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს უკან გაიწვევს

რატომ დათმო ივანიშვილმა პოზიციები

გვ.2



შაბათი — კვირა, 3 — 4 ნოემბერი, 2018 №261 (7806) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნებიდან“ ხალხი ოპოზიციაში გარბის“

გვ.2



## ჯელალ ქიქავა: „ესენი თავის ცოლებს აღარ ეფერებიან და რაის ხალხს უნდა მოეფერონ“

## „ხალხს სააკაშვილის ჩამოსვლით ვეღარ შეაშინებენ, 9 წელი აღარ მუშაობს“

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებამ“ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს“



## ზაქარია ქუცნაშვილი: „პარტიის მართვაში არ ვმონაწილეობ, თქვენი კითხვა სხვებს ეკუთვნით“

გვ.2



„მეც ვსვამ კითხვას, რა უნდა გააკეთოს „ოცნების“ პატიოსანმა და ერთგულმა კადრმა, რომ დააწინაურონ“



გვ.3

## სიმონ ნოზაძე: „ვინც ხმა პირველ ტურში ნაციონალებს მისცა, მეორე ტურში მათ მხარს აღარ დაუჭერს“



გვ.3

## გიგა ბუკია: „საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის“

## ხათუნა ხოფერია: „ნაციონალებმა ამდენი ხმა ვანო მერაბიშვილის სქემის საშუალებით მიიღეს“

გვ.5



სამართალი გვ.7

## დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ვიღებთ გაზრდილ ვალებს, რაც ბიუჯეტს დიდ ტვირთად აწვება



## გიორგი ქობულია: „ლარი აბსოლუტურად სტაბილურია და ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავს“



## სოციალურად დაუცველი ბავშვები 50-ლარიან დახმარებას მიიღებენ





ISSN 1987-9385

5 „დღეიდან ჩემი ქმარი ჩემი მოწინააღმდეგეა“

ოზურგეთელი ცოლ-ქმარი ვაჟიშვილის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა

4 სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

7 ცოლისძმას თოფით ორივე ფეხი დაუცხრილა და მოკლა

4 გიორგი ქადაგიძე: „მსხვილ ბიზნესს არასდროს არც ერთ ხელისუფლებასთან არ უჭირდა საკუთარი ინტერესების ლობირება“

# „ოცნებიდან“ ხალხი ოპოზიციაში გარბის“

## ჯელალ ქიქავა: „ესენი თავის ცოლებს აღარ ეფერებიან და რაის ხალხს უნდა მოეფერონ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გამორბის ხალხი მმართველი პარტიიდან, რატომ ვერაფერს ახერხებს ივანიშვილი, რატომ ვერ გაყალბდება არჩევნები? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.**



***— არჩევნებში მარცხნაჭამმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მეორე ტურის წინ ხალხის გულის მოსაგებად მათ მოეფეროს. თავად ამბობენ, გავალთ და მოვეფერებითო. თქვენ დიდი ხანია, პოლიტიკაში ხართ და ასეთი რამე გსმენიათ?***

— პოლიტიკაში მართლა ძალიან დიდი ხანი ვარ, მაგრამ ასეთი რამე მართლა არ გამიგია. ამათგან ყველა უცნაურობაა მოსალოდნელი, მაგრამ რა ჰგონიათ, გამოუვათ რამე? ესენი თავის ცოლებს არ ეფერებიან და რაის ხალხს უნდა მოეფერონ? ამგენმა არც მოფერება არ იციან. ან ვინ მოაფერებინებს ამათ თავს.

ახლა რომ მოუნდათ ხალხზე მოფერება, აქამდე სად იყვნენ? თავიანთ გარემოცვას კარგად ეფერებოდნენ.

***— აკი მოფერება არ იციანო?***

— სხვანაირ მოფერებას ვგულისხმობ, გარემოცვას და საჯარო მოხელეებს ბევრ ფულებს უხდიდნენ. დანარჩენი ხალხი არ აინტერესებდათ. მაგათ გათვლილი ჰქონდათ, რომ ვისაც ფულს აძლევდნენ, ისინი ხმას მისცემდნენ. ყველა უბანზე 300 ხმა უნდა აეღოთ, მაგრამ მიიღეს 100-100 ხმა.

რაც არ უნდა მოფერება დაიწყონ, არაფერი გამოვა, ჩვენი ოფისი გაივსო „ოცნების“ მხარდამჭერებით.

***— თქვენს ოფისში „ოცნების“ მხარდამჭერებს რა უნდათ?***

— საქმე აქვთ. მოგეხსენებათ, რომ მე ოპოზიციის გაერთიანებაში „ძალა ერთობაშია“ ვარ გაწევრიანებული. ყოველდღე უამრავი ქოცი მორბის ჩვენთან სიებით, ტელეფონის ნომრებით.

გვეუბნებიან, მეორე ტურზე თქვენსკენ ვართო. პროცესი დაწყებულია და ამას ვერანაირი მოფერება ვერ გააჩერებს. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ოფისში იმდენი ქოცი მოვა, რომ იქ ჩვენი ადგილი აღარ იქნება.

***— გინდათ თქვათ, რომ განქოცების პროცესი დაიწყო?***

— ქოცები მასობრივად ტოვებენ პარტიას და ოპოზიციაში გადმოდიან. ეს ქართულ პოლიტიკაში ჩვეულებრივი ამბავია. რამდენიმე წლის წინ ასე გარბოდა ხალხი ნაციონალური მოძრაობიდან.

პირადად ბიძინა ივანიშვილიც რომ მოეფეროს ხალხს და თითო ხმაში 100-100 დოლარი გადაიხადოს, მაგენის საქმე უკვე წასულია.

***— ვითომ ასე უიმედოდ არის საქმე? ის ბრძენი კაცი ვერაფერს მოიფიქრებს ვითომ?***

— გაიგეთ ხალხო, არაა ეს ბიძინა ბრძენი კაცი, მაგას მარტო ფულის შოვნა შეუძლია.

***— ესეც თავისებური სიბრძნეა.***

— ხო, მაგრამ ამ სიბრძნით პოლიტიკას ვერ მართავ. ბიძინას მე არქიფო დავარქვი და სუფთა არქიფოა. სიბრძნისგან შორსაა, მაგაზე ბრძენი მე ვარ. სამი წიგნი მაქვს წაკითხული, ერთი მაგათგან „მურზილკაა“.

მაგის სიბრძნე კარგად გამოჩნდა, ქვეყანა დაღუპვისკენ წაიყვანა. ამას ხალხი გრძნობს და ამიტომაც აქციეს ზურგი ოლიგარქს. ხალხთან ბრძოლა ჯერ არავის მოუგია და ვერც ეს მოიგებს.

***— ხალხთან ბრძოლას მართლა ვერავინ მოიგებს, მაგრამ ხალხის მოტყუება არ არის რთული.***

— მაგი კი, მაგი კი. ხალხის მოტყუება შესაძლებელია. ჩვენი ხალხი ბოლო წლებში არაერთხელ მოტყუვდა.

***— ახლა რატომ ვეღარ მოტყუვდება?***

— იმიტომ, რომ მოტყუებასაც აქვს საზღვარი. გამოცდილი პოლიტიკოსი ვარ და 2012 წელს მეც მოვტყუვდი, მეც ბიძინას მივეცი ხმა, მაგრამ ახლა სხვა მხარეს ვარ. ადამიანები ტყუვდებიან, მაგრამ მერე ამაზე სწავლობენ.

ჩვენი ამომრჩეველი ბევრჯერ მოტყუვდა, მაგრამ ბევრი რამეც ისწავლა და მომავალში ვერავინ შეძლებს მათ მოტყუებას. როგორც არჩევნების ნორმალურად ჩატარება ვისწავლეთ, ასევე ვისწავლით ნორმალური არჩევანის გაკეთებასაც.

***— მეორე ტურის წინ „ოცნება“ ხალხის მოფერებას აპირებს, თქვენ გაქვთ რაიმე გეგმა?***

— იმავე გეგმით ვიმუშავებთ, რომლითაც პირველი ტურის წინ ვმუშაობდით — მთელ საქართველოში ვივლით კარდაკარ.

***— თქვენც უნდა მოეფეროთ ხალხს?***

— ჩვენ ხალხს ვესაუბრებით და ვეუბნებით, რომ არჩევნებზე მისვლა აუცილებელია. არჩევანს ვის სასარგებლოდ გააკეთებენ, ეს მათი საქმეა. აგერ ნახავთ, ყველაფერი როგორ ლამაზად და მშვიდად ჩაივლის. განცხადებები სამოქალაქო ომზე არის ზღაპარი.

***— რატომ არის ზღაპარი?***

— იმიტომ, რომ ომს არავინ აპირებს. ქოცების 10-15 ზონდერი შეიძლება რაღაცას გეგმავდეს, მაგრამ ძალიან წარუმატებელი იქნება მათი მცდელობა. მალე „ოცნებაში“ კაცი არ დარჩება. ბოდიში თქვენთან და დღეს ქოცებში ძირითადად გაბოზებული ნაცები არიან. ბოზს პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ.

არც ომი იქნება და არც — მღელვარება, ყველაფერი დამთავრდება მშვიდად. ხომ ხედავთ, სადამდე მიიყვანა „ოცნებამ“ საქმე, თბილისშიც კი წააგეს არჩევნები.

***— თბილისის მოგება სახელისუფლებო კანდიდატს ყოველთვის უჭირდა.***

— მაგრამ ეს სხვა მომენტი იყო. თბილისელებიც მიხვდნენ, რომ ამ ქვეყანაში უსაფრთხოება და ყველაფერი არის მოშლილი.

***— ასეთი მიუხვედრელი ხალხი ცხოვრობს თბილისში?***

— ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ მაგენს მე მანიკურიან ამომრჩეველს ვუძახი. არ შემიძლია ზოგიერთის პრანჭვა-გრეხვა. თბილისით არასდროს არ იზომებოდა შედეგები, მაგრამ თბილისი თუ შენ გაძლევს ხმას, გამოდის, რომ არჩევნებს იგებ შენ.

***— თბილისელების გულის მოსაგებად ხელისუფლება გრეჩიხების —- ძმები გაჩეჩილაძეების ჩართვას აპირებს.***

— ჩართონ მერე. რა უნდა გააკეთოს ან დიდმა, ან პატარა გრეჩიხამ. რამდენიმე წლის წინ თბილისის ნაწილს შეიძლება გაევლო მაგათ ჭკუაზე, მაგრამ ახლა სხვა რეალობაა. თბილისელებს სიმშვიდე და კეთილდღეობა ურჩევნიათ გრეჩიხას ჭკუაზე სიარულს.

ხელისუფლებას მინდა ვურჩიო, რომ არჩევნების გაყალბება არც გაბედოს. ჩვენ 28 ოქტომბერს მოვახერხეთ უბნების დაცვა, ამის გაკეთება მეორედაც არ გაგვიჭირდება.

***— რეგიონებიდან მოდის ინფორმაციები, რომ უკვე დაიწყეს ხალხის დაბარება პოლიციაში და მათგან სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას ითხოვენ. აჭარის რეგიონში თუ არის ასეთი ფაქტები?***

— ჯერ არაფერი გამიგია, მაგრამ არც ეგ იქნება პრობლემა, თუ ვინმეს დაიბარებენ. ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ, მათ ფულიც კი დაურიგონ.

***— რას ჰქვია შეუძლიათ, ფულიც დაარიგონ?***

— ბიძინას ფულით ვერ მოუგებ. ჩვენს წარმომადგენლებს ვეუბნებით, ფული აიღეთ და უარი არ თქვათ ამაზე. მერე კი, ვინც გინდათ, ის შემოხაზეთ.

***— გინდათ თქვათ, რომ ფულს ისე მისცემენ და იმის მტკიცებულებას არ მოსთხოვენ თუ ვინ შემოხაზეს?***

— მოითხოვონ მტკიცებულება, არც ეგაა პრობლემა. ამის საწინააღმდეგო წამალიც არსებობს.

***— რა წამალი?***

— ვიღაც ერთმა შემოხაზა 48, გადაუღო ამას სურათი და ტელეფონით მოხდა მისი გაგზავნა ჩვენს მომხრეებთან. ყველას, ვინც ქოცებისგან ფული აიღო, აქვს ეს სურათი. ფულის გადამხდელებს მტკიცებულებასაც აჩვენებენ. შემოხაზვით სხვას შემოხაზავენ.

***— გგონიათ, რომ ვერ მიხვდნენ ეშმაკობას?***

— მიხვდნენ, მაგრამ ახალს ვერაფერს მოიფიქრებენ, ხომ ხედავთ, რა ლოზუნგით გამოვიდნენ, მოგეფერებით და ხმა მოგვეცითო.

# „ქართული ოცნება“ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს უკან გაიწვევს

## რატომ დათმო ივანიშვილმა პოზიციები

შორენა მარსაგიშვილი



ხელისუფლება კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის უკან გაწვევას დათანხმდა. არადა, სულ რაღაც ერთი კვირის წინ გვიმტკიცებდნენ, ლარის გამყარების ერთადერთი საშუალება კანაფიაო.

არჩევნებზე განცდილმა მარცხმა მეოცნებეთა ტვინზე კარგად იმოქმედა. პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც საქართველოში სიღარიბის დამარცხებას კანაფით აპირებდა, შს მინისტრ გიორგი გახარიასთან ერთად საპატრიარქოში მივიდა. ისინი საქართველოს პატრიარქს შეხვდნენ. იქიდან გამოსულებმა კი ერთხმად უარყვეს კანაფი.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის პარლამენტიდან გაწვევის გადაწყვეტილება არჩევნებსაც უკავშირდება.

მისი განმარტებით, ამ არჩევნებმა ხელისუფლებას საზოგადოების განწყობა აჩვენა. კობახიძის თქმით, „ქართული ოცნება“ ის ხელისუფლებაა, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების განწყობას.

— ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული ფართო კონსენსუსის საფუძველზე. არჩევნებსაც უკავშირდება, შემიძლია გითხრათ. კერძოდ, გუშინ როდესაც ქალბატონი სალომე მის პოზიციასთან დაკავშირებით საუბრობდა, მან თავისი პოზიცია დაასაბუთა იმ შეხვედრებით, რომელსაც ის საარჩევნო პროცესში რეგიონებსა თუ ქალაქებში ატარებდა.

შესაბამისად, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ არჩევნებმაც გვაჩვენა დამატებით ის განწყობა, რომელიც არის ჩამოყალიბებული საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, ესეც გახდა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ ის, რაც არაერთხელ დაგვიმტკიცებია, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან. ამას დავაკონკრეტებ. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება, რა თქმა უნდა, საზოგადოების განწყობას, საზოგადოების მიმართ დამოკიდებულება არის ჩვენი პასუხისმგებლობით აღსავსე და ამან განაპირობა საბოლოოდ ამ გადაწყვეტილების მიღება, — განაცხადა კობახიძემ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, კომენტარი პატრიარქის მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმაც გააკეთა: ხელისუფლების გადაწყვეტილებით მამა მიქაელი კმაყოფილია.

— ის, რომ ხელისუფლებამ იცოდა ჩვენი პოზიცია, ამაზე კომენტარს აღარ გავაკეთებ. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ჩვენთან კიდევ ერთხელ გაევლო კონსულტაციები და მის უწმინდესობასთან ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები შეხვედრაზე მობრძანდნენ. ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ეს არის საზოგადოებისათვის საშიში და ის ძალისხმევა, რომელსაც ეკლესია აქამდე ახორციელებდა და არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები, რომლებიც კანაფის კულტივაციას მხარს არ უჭერდნენ. პატრიარქთან მათ განაცხადეს, რომ უკან გაიწვევენ კანონპროექტს. არგუმენტად დაასახელეს, რომ მათ დაინახეს საზოგადოების რეაქცია და ეკლესიის პოზიცია, რომ ისინი ანგარიშს გაუწევენ ამ ყველაფერს, — განაცხადა მედიასთან საუბარში დეკანოზმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის მტკიცებით კი, კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის პარლამენტიდან გაწვევის გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ გუნდმა პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის პრინციპული მოთხოვნის შემდეგ მიიღო.

თალაკვაძე შთაგვაგონებს, რომ სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა ამომწურავი არგუმენტები, თუ რატომ არის აუცილებელი, პარლამენტიდან ეს პროექტი გაწვეული იყოს. არადა, ცოტა ხნის წინ სალომე ზურაბიშვილი მზად იყო, თავად ჩასდგომოდა სათავეში კანაფის გაკეთილშობილების კამპანიას. ამის გამო მას მეუფე იაკობმა კანაფის დედოფალიც კი უწოდა.

— როგორც იცით, საზოგადოების და ეკლესიის პოზიციის დაფიქსირებისთანავე პარლამენტმა შეაჩერა ამ კანონპროექტის განხილვა. ჩვენ მაშინვე დავაფიქსირეთ პრინციპული პოზი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგა ბუკია: „საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის“

## „ბიძინა ივანიშვილი არაპოპულარულ თემებს არ გაურბის“

მარიამ მჭედლიშვილი

**საარჩევნო ციებ-ცხელება გრძელდება. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.**



***– თბილისის საარჩევნო შტაბის წევრების განცხადებამ იმის შესახებ, რომ დაგეგმილია თბილისელებთან მისვლა და მათთან საუბარი, საზოგადოება გაალიზიანა. მაგალითად, ჩემი მეზობლები, რომლებიც ნაცმოძრაობასაც არ ემხრობიან, სვამენ კითხვას, პირადი შეხვედრებისას სამოქალაქო ომით უნდა შეგვაშინონო?***

– არანაირი ომი არ იქნება. ამის გარანტორი დღევანდელი ხელისუფლებაა. შესაბამისი ორგანოები დაპირისპირებას არ დაუშვებენ.

***– ეს თემა უმრავლესობის წევრებმა წამოსწიეს.***

– ჩემს აზრს ვამბობ. საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის. ვინც ამის შესახებ განაცხადა, მანვე გააკეთოს განმარტებები. ვინმე ამას რომც გეგმავდეს, არაფერი გამოუვა.

***– რას მიაწერთ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დროს განცდილ მარცხს?***

– რამდენიმე ფაქტორს. ხელისუფლებამ რაღაც ვერ გააკეთა, მაგრამ იმის შესახებ, სადაც წინსვლა და პროგრესია, ჩვენი გულშემატკივრებიც კი არ არიან ინფორმირებული. მათ ან საერთოდ არ გააჩნიათ ინფორმაცია, ან ნაწილობრივ აქვთ წარმოდგენა იმაზე, რაც ხდება.

წინასაარჩევნო კამპანიისას წავაწყდით ცილისწამების დიდ ნიაღვარს ოპონენტების მხრიდან. იმდენი ინფორმაცია და ჭორი გავრცელდა, რომ ექსპერტებსაც გაუჭირდათ სიმართლის გარკვევა. მოსახლეობა დაიბნა. თქვენს მეზობლებს შემიძლია ვუთხრა, რომ მათ თავზე არავინ არაფერს მოახვევს. მმართველი გუნდი მზად იქნება, გასცეს პასუხები მათ შეკითხვებს. იქნება თუ არა ეს პასუხები თანხვდენილი შეკითხვებთან, დასკვნები თვითონ გამოიტანონ. მოსახლეობასთან დემაგოგიასა და ჭკუის სწავლებას არავინ გეგმავს.

***– დიალოგი იქნება?***

– საუბარი, ურთიერთახსნა. ისინი იტყვიან, რა აწუხებთ. ავუხსნით, რა შეიძლება გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ხშირი კონტაქტი ხალხთან სხვა დროსაც აუცილებელია.

***– იმის ხალხამდე მიტანა, რასაც ხელისუფლება აკეთებს, პიარჯგუფს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ავალია.***

– პიარჯგუფი აკეთებს იმას, რასაც დაავალებენ. არანაირად არ მინდა, რომ შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა რომელიმე ერთ სამსახურს დაეკისროს.

***– ხელისუფლება ხალხს დაშორდა?***

– განტევების ვაცს არ ვეძებ. ალბათ, მეც დავაკელი რაღაც ამ საქმეს. უფრო მეტად უნდა მეაქტიურა.

***– „ქართული ოცნება“ ხან ღრმა კოაბიტაციაშია ნაციონალურ მოძრაობასთან, ხან – მოსისხლე მტრობაში. არჩევნების წინ 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი მოვლენებიც კი გაახსენდა.***

– არ გავამახვილებდი ყურადღებას ამ საკითხზე, იმიტომ რომ საკითხი, რომელმაც ხალხის გულგატეხილობა გამოიწვია, ბევრია. მათმა ერთობლიობამ შექმნა ეს სიტუაცია. არ მიმაჩნია, რომ თვითგვემას უნდა მივეცეთ. ამ ხელისუფლებას დანაშაული არ ჩაუდენია, შეცდომები დაუშვა. წინ ორი არჩევანი გვაქვს – ან მხარი დავუჭიროთ იმათ, ვინც მოსახლეობაზე ძალადობდა და ახლაც იყენებს ძალადობრივ მეთოდებს, ან იმათ, ვინც მზადაა, გამოასწოროს შეცდომები და მოუსმინოს მოსახლეობას. შეიძლება ზოგიერთი არ დამეთანხმოს, მაგრამ ასე ვფიქრობ.

***– საზოგადოებაში დიდი პროტესტი გამოიწვია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის ბოლო ორმა ინტერვიუმ.***

– ბატონმა ბიძინამ დაუფარავად ისაუბრა პრობლემებზე, ისიც აღნიშნა, რომ მონაწილეობდა კანაფის კულტივაციის კანონპროექტის განხილვაში. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოების გარეშე ამ საკითხს არ გადაწყვეტენ.

მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრობლემებს არ გაურბის, მძიმე თემებს თავის თავზე იღებს და პასუხისმგებელია მოვლენებზე. კანაფის კულტივაციის თემა უმრავლესობაში შიგნით განვიხილეთ. პირადად მე ამის კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ. საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუ საზოგადოება მოითხოვს, ამ კანონპროექტს ოფიციალურად არ განვიხილავთ.

***– ამ ინტერვიუების სხვა პასაჟებმაც გაალიზიანა მოსახლეობა.***

– ბიძინა ივანიშვილი არც სხვა საკითხებს ერიდება, რომლებიც შეიძლება არაპოპულარული და მისთვის არამომგებიანი იყოს. სხვა ხელისუფლებები საჩოთირო თემებს ყოველთვის ემიჯნებოდნენ. ბატონი ბიძინა გულწრფელია და არ გაურბის პასუხისმგებლობასა და მძიმე საკითხებზე მსჯელობას.

# სიმონ ნოზაძე: „ვინც ხმა პირველ ტურში ნაციონალებს მისცა, მეორე ტურში მათ მხარს აღარ დაუჭერს“

გულიკო ბალაძე

**ვინ წარმოადგენს რუსულ გარემოცვას საქართველოში, ვინ არის კგბ-ს ნომენკლატურა იმ კანდიდატებიდან, ვინც 2018 წლის არჩევნებში მონაწილეობს? საქართველოს პარლამენტის წევრი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე სიმონ ნოზაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ საკითხებზე საუბრობს.**

***– ბატონო სიმონ, წინასაარჩევნო პერიოდიდან დამამახსოვრდა აუდიოჩანაწერში სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას განცხადებებზე ფეისბუქით თქვენი გამოხმაურება. რატომ განაწყენდით ალასანიაზე?***

– შეუძლებელია, ქართველმა კაცმა მოისმინოს ალასანიას განცხადება და არ გაბრაზდეს. რატომ გვაგინებს ალასანია დედას? ვინმემ რამე აწყენინა? იმდენი ფული წაიღე, ზიხარ იქ მშვიდად და იქიდან დედას გვაგინებ. ამან გამანაწყენა ყველაზე მეტად, თორემ მისი პოლიტიკური მრწამსი ჩემთვის გასაგებია. იქიდან იმუქრებიან, უნდა მოვკლათო და საზოგადოების რადიკალიზაცია სურთ, ჩემთვის ესეც გასაგებია, ეს მაგათი ტაქტიკაა. გამოდიხარ და მთელს ერს დედას აგინებ, აბა, რა უნდა ვქნა, არ უნდა გავნაწყენდე?

***– აუდიოჩანაწერის ნამდვილობაში ეჭვი არ შეგიტანიათ? ზოგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს არ იყო ნამდვილი. თვითონ ალასანიამაც უარყო.***

– არა, ეჭვი არ შემიტანია. ექსპრეზიდენტმა აღიარა, რომ აუდიოჩანაწერში მისი საუბარი იყო ასახული, ოღონდ სხვადასხვა ჩანაწერებიდან არის ამოღებულიო. რაკიღა ეს აღიარა, ე.ი. ვიღაცას ელაპარაკება, სავარაუდოდ, თავის ბიძას. ალასანიას ხმას მაინცდამაინც ვერ ვცნობ, მაგრამ მეორე მიშა რომ იყო, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ.

მე პოლიტიკოსი ვარ და ჩემთვის ეს დღესავით ნათელია, ისინი იყვნენ. ეს მათი ტაქტიკა და მათი დამოკიდებულებაა ქართველი ერის მიმართ. მე ამან აღმაშფოთა, თორემ პიროვნულად მე არც ალასანიას მიმართ მაქვს რაიმე გართულება და არც თვითონ სააკაშვილის მიმართაც.

***– მაშინ რა არ მოგწონთ?***

– არ მომწონს ის, რომ მას სურს, უკან დააბრუნოს საზოგადოება და ჩაითრიოს დაპირისპირებასა და ვითარების რადიკალიზაციაში.

***– რას მიაწერთ დღეს შექმნილ ვითარებას?***

– ყველაზე მეტი ბრალი საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებულ შედეგში მიუძღვის იმას, რომ „ოცნებამ“ ირწმუნა, რომ ის მაგარია, რომ ბევრ რამეში შეუძლია აღარ მოუსმინოს ხალხს. ამ დამოკიდებულებიდან დადგა შედეგი. ამიტომ „ოცნებას“ ხალხი გაებუტა კიდევაც, გაუნაწყენდა კიდევაც – წავიდა და ჯინაზე სხვასაც მისცა ხმა.

ასე მგონია, ბევრნი დაფიქრდებიან და მეორე ტურში სხვას მისცემენ ხმას. ეტყობა, არავინ ელოდა ასეთი დიდი პროცენტის აღებას ნაცმოძრაობის მიერ. მეორე ტურში, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ახლა უკვე სხვანაირად მოიქცევა.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– მე იმედი მომეცა, რადგან სამოქალაქო სექტორი დამოუკიდებლად აქტიურდება. რასაც სოციალურ ქსელებში ვუყურებ, რასაც ისინი წერენ იქიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მეორე ტურში სხვა რეალობა შეიქმნება.

***– სოციალურ ქსელში არჩევნების მეორე დღეს პანიკა იყო და შემდეგ წერდნენ, რომ თვითონ უნდა გააქტიურდნენ.***

– შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებამ პოლიტიკოსების გარეშე ისეთი აქციები ჩაატაროს, რომ ჭკუის სასწავლებელი გახდეს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება შეშფოთებულია შესაძლო შედეგებით.

***– ანუ?***

– საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ შეიქმნა ალბათობა ნაციონალების ხელისუფლებაში მობრუნებისა. ბევრი მათგანი, ვინც ნაცმოძრაობას ხმა მისცა, სამოქალაქო მოძრაობას გვერდში დაუდგება და მათ აღარ მისცემს ხმას.

***– წინასაარჩევნოდ კანდიდატებს შორის გაჩნდა ბრალდებები რუსული აგენტურის თაობაზე თუ ვინ არის რუსული აგენტურა საქართველოში. ნაცმოძრაობის შტაბიდან ისმოდა ბრალდება, რომ საფრანგეთის მოქალაქე ზურაბიშვილი იყო რუსეთის კანდიდატი.***

– გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ეს არის ჩვეულებრივი მეთოდი, რომ დააბრალო მოწინააღმდეგეს ის, რაც შენ თვითონ ხარ. მე საფრანგეთში ვიყავი 15 სექტემბერს, ლევილში 24 წლის აჯანყების მსხვერპლთა ხსოვნის დღის აღნიშვნას დავესწარი. იქ ისეთი განწყობაა, როგორ შეიძლება იმ გარემოში გაზრდილ ადამიანს დააბრალო, რომ ის რუსეთს როდესმე მხარს დაუჭერს.

ისინი იმიტომ დაიბადნენ ლევილში, სამშობლოსგან მოშორებით, რომ რუსეთმა შეუწყვიტა დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარების პირობები, თავისუფლება წაართვა. მათ ამის თქმა აღარ სჭირდებათ.

მეორე მხრივ, გადახედეთ ნაციონალების ძირითადი კანდიდატისა და ახლანდელი ძირითადი კანდიდატის ბიოგრაფიასაც და ნახავთ, ვინ ვინ არის.

***– გრიგოლ ვაშაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ განყოფილების თანამშრომელი იყო, რომელსაც ერქვა კოსმოსური შეიარაღებისა და ბირთვული პროგრამების განყოფილება.***

– გრიგოლ ვაშაძე იყო კოსმოსური შეიარაღებისა და ბირთვული პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი. მანამდეც არანაკლები პოსტი ეჭირა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. გრიგოლ ვაშაძე მანამდე საგარეო ურთიერთობების განყოფილებაში მუშაობდა. ეს იყო კომინტერნის ჩამნაცვლებელი.

საგარეო ურთიერთობები ჰქონდათ სოციალისტურ ქვეყნებთან და იმ ხალხთან კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც კომუნისტები იყვნენ. როგორ შეიძლება გრიგოლ ვაშაძე არ იყოს კგბ-ს ნომენკლატურა? ისე ვინ დანიშნავდა მსგავს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე?

***– საზოგადოებას დოკუმენტები თუ არ დაუდე, ისე ძნელად იჯერებს.***

– პირად ანკეტებს საზოგადოებას წინ ვერავინ დაუდებს. საქართველოში ახლა რომ გამოდის ინფორმაცია რიხინრიხინით ყველა მხრიდან, რუსული სპეცსამსახურებიდან ასე



იოლად არ ჟონავს ინფორმაცია. ამიტომაა, რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელს რომ გადაიბირებენ, მათთვის კატასტროფაა.

***– ამბობენ, რომ გრიგოლ ვაშაძე არის პირადად სააკაშვილისა და თემურ ალასანიას (რომელიც ასევე საბჭოთა კავშირის და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა) კანდიდატურა. თუ ალასანიას კანდიდატურაა, ე.ი. რუსეთის შემოთავაზებაა?***

– სწორედ ეგ ლოგიკური დასკვნა უნდა გავაკეთოთ. ქართველები ლოგიკურ აზროვნებასთან ძალიან ახლოს ვართ. მით უმეტეს, ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად ძალიან გაზრდილია. ჩემს სოფელში რომ ვიყავი ჩასული, იქ მეკითხებოდნენ მაგ თემაზე, რაც თქვენ მკითხეთ. დიდ ქალაქებში და იქ, სადაც სამეცნიერო ცენტრებია, გაცილებით იოლად ხდება ამის ანალიზი და პროგნოზირება.

რა გითხრათ? მეც მგონია, რომ რუსეთმა დაგვიწყო ოპერატიული თამაში. მეც ასეთი განცდა მაქვს. მე რუსეთთან ურთიერთობის მომხრე ვარ, მაგრამ თანასწორუფლებიანად. დეპუტატი დეპუტატს შეხვდეს, მინისტრი – მინისტრს და პრეზიდენტი პრეზიდენტს. ამის მომხრე ვარ, მაგრამ ოპერატიული ურთიერთობების მომხრე არ ვარ, რადგან იქ ცალსახად რუსეთი გვაჯობებს, რადგან ძალიან ძლიერია.

***– მომავალში რას ელოდებით?***

– ბევრმა, ვინც ხმა ნაცმოძრაობას მისცა, ისინი მხარს აღარ დაუჭერენ, რადგან დაინახეს, რომ დიდი პროცენტი მიიღო. ალბათ, ფიქრობდნენ, თქვენ განახებთ სეირსო. ახლა რომ დაინახეს, შეიძლება რაღაც არასასურველი შედეგი დადგეს, ბევრი გონს მოეგება.

ყველამ დაუდევრობა გამოვიჩინეთ. ჩვენი მომხრეები არჩევნებზე არ მივიდნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალები ორგანიზებული ძალაა, მერწმუნეთ, მათ შეძლეს ყველა მათი მომხრის მიყვანა საარჩევნო ყუთთან. „ოცნებამ“ დაუდევრობა გამოიჩინა, მაინც მოვიგებთო. ჩემს რაიონში, სადაც მე ვიყავი და სადაც გავიარე, ძალიან სუსტი ნამუშევარია. ვიღაცები ცხოვრებამ გაათამამა, ვიღაცები თანამდებობაზე მოსვლამ გაათამამა და ცუდი შედეგი დადგა.

ახლა ყველანი გონს მოვეგებით. დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენი მომხრე მივა არჩევნებზე, რომ ქვეყნის განვითარების ვექტორს, მის განვითარებას საფრთხე არ შეექმნას. ახლა შექმნილი ვითარება კი „ოცნებამ“ ჭკუის სასწავლებლად უნდა გამოიყენოს.

ალბათ მოსახლეობა დატოვებს შანსს, რომ გონს მოეგონ, შეცვალონ რაღაცა, თორემ 2020 წლის არჩევნები ახლანდელ არჩევნებთან მონაგონი იქნება.

***– სულ გვესმის, რომ არჩევანი არის ცუდსა და უარესს შორის. ამაზე რას იტყვით?***

– გასაგებია. მერაბ კოსტავა რომ გვყავდეს, მას ავირჩევდით და მალამოსავით იქნებოდა ქართული სიტუაციისთვის. პარტიამ ქალბატონ სალომესთვის მხარდაჭერა გადაწყვიტა. იცით, ამით ჩემთვის რისი ასოცირება მოხდა? ქართველებმა, საქართველოს სახელმწიფომ, ემიგრაციასთან კავშირის აღდგენა გადაწყვიტა. ამიტომ გადაწყვიტეს, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი, ევროპელი ჩამოეყვანათ ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე.

აბსოლუტურად არ ვეთანხმები იმ იმიჯს, რაც სალომე ზურაბიშვილს შეუქმნეს. გაცილებით მაღალი დონის ქალბატონია, საქართველოს პატრიოტია. რა საბჭოთა აზროვნება, რა რუსეთთან თანამშრომლობა. დაიბადა და გაიზარდა იმ ოჯახში, რომელიც სწორედ რუსეთმა დააზარალა. იმ იდეოლოგიითაა გაზრდილი, რომელსაც ბატონი ლევან ზურაბიშვილი ატარებდა, კაცი, რომელმაც თავისი მოქალაქეობა არ დათმო და ბოლომდე ქართველ დევნილად დარჩა.

მე და ქალბატონი სალომე თანატოლები ვართ. სალომე ფრანგული დიპლომატიური სკოლის აღზრდილია. მე საბჭოთა პერიოდში გავიზარდე. ტრიბუნაზე რომ ვიდექი, სხვა რამ უნდა მეთქვა, მეგობრებში კიდევ სულ სხვა რამ უნდა მელაპარაკა. მაშინ ასეთი სიტუაცია იყო.

სალომე თავისუფალ გარემოში გაიზარდა, რასაც ფიქრობდა, ყოველთვის იმას ამბობდა. ამიტომ ნუ მოვთხოვთ, ყველა დეტალში მას ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეს, როგორიც აქ, საბჭოთა კავშირის დროს დაბადებულ და საბჭოთა სისტემაში გაზრდილ ქართველებს გვაქვს.

# „ხალხს სააკაშვილის ჩამოსვლით ვეღარ შეაშინებენ, 9 წელი აღარ მუშაობს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



## ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნებამ“ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანოს“

***– ბატონო ვახტანგ, ის რეალობა, რომელიც არჩევნების პირველმა ტურმა აჩვენა, „ქართულმა ოცნებამ“ რამდენად გააანალიზა?***

– ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს და ეს ამ შედეგებმა აჩვენა, მაგრამ მთავარი არის, რამდენად სწორად აკეთებს ამის ანალიზს. რამდენად იპოვის ამ სიტუაციიდან გამოსავალს.

პირველი რეაქციები უკვე იყო. თუნდაც კანაფის შესახებ კანონპროექტი, რომლის გაწვევაზეც უკვე გვითხრეს. თუმცა, ეს უკვე აჩვენებს იმას, რომ ხელისუფლება ბოლომდე ცდილობდა ამ კანონპროექტის შენარჩუნებას.

არც ამაში არ არის საქმე. ზოგადად რთული გადაწყვეტილებების წინაშე დგას ხელისუფლება. მთავარია, ამ ნაბიჯებს ელექტორატი როგორ აღიქვამს და რამდენად ირწმუნებს. პრობლემის სირთულე ის არის, რომ ელექტორატმა და თუნდაც „ოცნების“ მხარდამჭერებმა არ აღიქვან ეს ნაბიჯები უკანდახევად და დამარცხებად.

ეს ასე არც ნაციონალურმა მოძრაობამ არ უნდა აღიქვას. ამიტომ არის რთული ნაბიჯები გადასადგმელი. მთლიანად სტრატეგიაა შესამუშავებელი. ამ ეტაპზე თუ მხოლოდ იმით შემოიფარგლებიან, რომ ორგანიზაციულ მხარეს გააძლიერებენ და სხვა არაფერი, ეს არ იქნება საკმარისი, რადგან მათ დამატებით 200 ათასი ხმა სჭირდებათ. მილიონ 800 ათასი ამომრჩეველი მაინც უნდა მივიდეს არჩევნებზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს არჩევნები პატიოსნად მოიგოს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ გააყალბონ.

***– 200 ათასით გაიზარდა ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი. თქვენ, ადრე თქვით, რომ რაც აკლდება „ქართულ ოცნებას“, ის არ ემატენა ნაციონალურ მოძრაობას. ვინ დაემატა ნაციონალურ მოძრაობას?***

– ნაციონალურ მოძრაობას დაემატა ის ამომრჩეველი, რომელიც ფრთხილობდა და რომელიც მოლოდინის რეჟიმში იყო. ბოლო პერიოდში მოხდა გარდატეხა და ნაციონალებს დაუბრუნდა ის თავისი ამომრჩეველი, რომელიც ფრთხილობდა და არჩევნებზე არ მიდიოდა.

ოქტომბრის მეორე ნახევარში იმასაც კი ვფიქრობდი, სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურში გავიდოდა თუ არა. „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით უამრავი შეცდომა დაუშვა, თანაც 2016 წლიდან მათი რეიტინგი ეცემოდა და კლების რეჟიმში იყო.

მე ხელისუფლებას ვეუბნებოდი, რომ მათ მხოლოდ ეს ერთი წელი ჰქონდათ, ცუდად მიმავალი პროცესი რომ შემოებრუნებინათ, მაგრამ არათუ არ შემოატრიალეს, პირიქით, უარესი ქნეს.

***– იყო მოსალოდნელი, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ შედეგს მიიღებდა?***

– სიმართლე გითხრათ, ამხელა ნახტომს მაინც არ ველოდი. ეს გამოიწვია იმან, რომ ამომრჩეველი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წავიდა. აღმოჩნდა, რომ ამ ხალხისთვის სულ ერთია, სააკაშვილი დაბრუნდება თუ არ დაბრუნდება.

***– გამოდის, 9 წელმა არ იმუშავა.***

– პირიქით, იმუშავა. ამ ყველაფერს ანალიზი სჭირდებოდა, სწორი ტაქტიკა იყო საჭირო და რეალობისთვის თვალებში ჩახედვა და არა – წაყრუება.

***– მაინც რამ იქონია გავლენა?***

– ბევრი ფაქტორი ერთად მუშაობდა. პრობლემატური იყო კანდიდატი, პრობლემატური იყო ფარული ჩანაწერები, პრობლემატური იყო ივანიშვილის ის ორი ინტერვიუ, რომელმაც ადამიანები საწინააღმდეგოდ განაწყო.

თუ ამ სტილში გააგრძელებს „ქართული ოცნება“, მაშინ არაფერი გამოვა. თუმცა, რესურსი, ვფიქრობ, მაინც არის, მაგრამ რამდენად შეძლებს მის ამოქმედებას, ეს რთული სათქმელია.

***– ამ შედეგებზე შუაშისტების წილი როგორია, მათი ნაწილი ნაციონალების მხარეს გადაიხარა?***

– ნაწილი გადაიხარა და ნაწილი არ მივიდა არჩევნებზე. რეზერვი, რომელზეც მე ვთქვი, სწორედ ის ნაწილია შუაშისტების, რომლებიც არჩევნებზე არ მივიდნენ. ამომრჩევლის ამ ნაწილის მიყვანა შესაძლებელია, მაგრამ ძალიან გაუჭირდება „ოცნებას“, რადგან მხოლოდ სწორი და რაციონალური გათვლებით არის ეს შესაძლებელი. რესურსი არის, მაგრამ შეძლებს კი „ოცნება“ ამ რესურსის გამოყენებას?! ეს არის პრობლემა.

***– კალაძის პირველი განცხადების შემდეგ, როდესაც მან კენჭები სალომე ზურაბიშვილისკენ ისროლა, ის შეეცდება სხვა მიმართულებით წასვლას თუ კვლავ ივანიშვილის ქოლგის ქვეშ დარჩება?***

– ჯერ კახა კალაძე ივანიშვილის ქოლგის ქვეშ რჩება. ეს თუნდაც იმ გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომელიც მიიღეს, რომ კალაძე თბილისის შტაბს უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება იმ განცხადებას, მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო ემოციური განცხადება იყო, ვიდრე პოლიტიკური გზავნილის შემცველი განცხადება. ასეთი განცხადების შემდეგ ცოტა უხერხულია, რომ იმ გუნდში რჩები. პოლიტიკას არ უყვარს მსგავსი განცხადებები, რადგან ის პრობლემებს აჩენს. კალაძეს პრობლემა გაუჩნდა. თუმცა, პროცესი როგორ განვითარდება, ეს მეორე ტურის შედეგებზეა დამოკიდებული.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველა დიდი ქალაქი წააგო. ეს პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ხელისუფლებაშია, სერიოზული სიგნალია. ამიტომ, მარიხუანის კანონპროექტის გაწვევა და ვილაცის დაკავება ვერ იქნება იმ შედეგის მომტანი, რომელიც მათ სჭირდებათ. ეს მხოლოდ დამატებითი ფაქტორები უნდა იყოს.

„ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში საპარლამენტო არჩევნების თემები უნდა შემოიტანოს, თემები, რომელთაც მთავრობა გაატარებს და ეს დღეს ივანიშვილმა უნდა გაახმოვანოს, მაგრამ შეუძლიათ კი?!

დღეს სალაპარაკოა არა იმაზე, თუ რა იქნება ერთი თვის შემდეგ, არამედ იმაზე, იმის შემდეგ რა იქნება და საერთოდ როგორ წარმოუდგენიათ მომავალი. ასევე, ძალიან გახსნილად და გულწრფელად უნდა ილაპარაკონ იმ შეცდომებზე, რომლებიც იყო და რომელთაც ადამიანები, ამ ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი თვალით ხედავდნენ.

თუ ისინი ისევ იგივეს აპირებენ, რომ სააკაშვილი მოვა, ეს ყველაფერი შავი პიარის ბრალია და ა.შ. მაშინ ჩათვალეთ, რომ მოხდება ის, რაც უკვე მოხდა. „9 წელი“ კარგა ხანია, აღარ მუშაობს, ეს უნდა გაიგოს „ქართულმა ოცნებამ“ და თუ ვერ გაიგებს, მაშინ მოხდება ის, რაც მოხდა.

ქართველი საზოგადოება ცოტა სხვა საზოგადოებაა. მთავრობის სახლის წინ ეს საზოგადოება იკრიბებოდა სულ უმნიშვნელო მოთხოვნით და საღამოს უკვე მთავრობის გადადგომის მოთხოვნა ჰქონდა. თუ ამას ვერ გაითვალისწინებენ, მაშინ გაუჭირდებათ.

დღეს ხალხი უკვე იძახის, ჩამოვიდეს ეს სააკაშვილი! ამიტომ ვამბობ, რომ სხვაა საჭირო, ქმედებაა საჭირო, სწორი გეგმებია საჭირო.

ერთი, რაც შემიძლია დღეს დანამდვილებით გითხრათ, არის ის, რომ თუ სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ 1%-ით მოიგებს არჩევნების მეორე ტურს, მაშინ ეს მოგება არ იქნება. ეს იქნება საზოგადოების კვლავ ორად გახლეჩა, რაც მომდევნო ორ წელიწადში კარგს არაფერს მოუტანს არც „ქართულ ოცნებას“ და არც – ქვეყანას.

# „ქართული ოცნება“ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს უკან გაიწვევს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ცია, რომ რაც შეიძლება ფართო კონსენსუსის გარეშე არანაირი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული ამასთან დაკავშირებით. მაგრამ დღეს, როდესაც ამ პროექტს მიეცა სხვადასხვა კონოტაცია და მათ შორის გადამწყვეტი იყო ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ, „ქართული ოცნების“ გუნდთან შეხვედრისას პრინციპულად დააყენა ეს საკითხი და მას ჰქონდა ამომწურავი არგუმენტები, თუ რატომ არის აუცილებელი, რომ გაწვეული იყოს ეს პროექტი პარლამენტიდან, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტი გავიწვიოთ პარლამენტიდან.

როგორც იცით, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა პატრიარქს და ეს პოზიცია კიდევ ერთხელ იქნა განხილული და დადასტურებული. გუნდის სახელით გიდასტურებთ, რომ კანაფის წარმოების შესახებ კანონპროექტი პარლამენტიდან იქნება გაწვეული, – აღნიშნა თალაკვაძემ.

ნაციონალებს „ოცნების“ გაკეთილშობილების არ სჯერა. მათი კანდიდატი ამბობს, რომ თუ ივანიშვილმა ხელში ჩაიგდო პრეზიდენტის პოსტი, აუცილებლად შემოიტანს კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტს პარლამენტში.

გრიგოლ ვაშაძის თქმით, ამ ინიციატივის გატარება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებშია.

– პირველ ტურში საქართველოს მოქალაქის, მთლიანად ქართული საზოგადოების, გაერთიანებული ოპოზიციის, ეკლესიის პოზიციამ ნაყოფი გამოიღო. მილიონმა ამომრჩეველმა ივანიშვილსა და ე.წ. „ქართულ ოცნებას“ უარი უთხრა, მილიონმა ამომრჩეველმა აიძულა ის, უარი ეთქვა კანაფის წარმოებაზე, ქვეყნის ნარკოპლანტაციად გადაქცევასა და ხელისუფლების ნარკობარიგად გადაქცევაზე.

ახლა ხელისუფლებამ ვერ გაუძლო საქართველოს მოქალაქის წნეხს, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ძალა და ეს არის საქართველოს ყველა მოქალაქის, ჩვენი საზოგადოებისა და გაერთიანებული ოპოზიციის გამარჯვება.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ივანიშვილმა თვითონ აღიარა, რომ მარიხუანის წარმოება მისი იდეა იყო, რომ ის პირადადაა ამით დაინტერესებული, რომ პირადად აპირებს ამ პროექტის განხორციელებას თავისი მოგებისთვის და დარწმუნებული იყავით, თუ მან დამატებით ხელში ჩაიგდო პრეზიდენტის პოსტი, აუცილებლად, უმოკლეს ვადაში შემოიტანს ამ კანონპროექტს პარლამენტში. არასდროს ოლიგარქი უარს არ იტყვის, როგორც თვითონ განაცხადა, 500%-იან მოგებაზე, – განაცხადა ვაშაძემ.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „პარტიის მართვაში არ ვმონაწილეობ, თქვენი კითხვა სხვებს ეკუთვნით“

## „მეც ვსვამ კითხვას, რა უნდა გააკეთოს „ოცნების“ პატიოსანმა და ერთგულმა კადრმა, რომ დააწინაურონ“



იაგო ნაცვლიშვილი

რატომ ვერ მოიპოვა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა პირველ ტურში გამარჯვება, გააანალიზა თუ არა მმართველმა გუნდმა შეცდომები, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება არის თუ არა „ოცნების“ შეცდომების შედეგი და რატომ არ არის ჩართული პარტიის მართვაში ზაქარია ქუცნაშვილი? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრება:

***– ბატონო ზაქარია, თქვენმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა გამარჯვება პირველ ტურში. გააანალიზეთ თუ არა ის შეცდომები, სადაც ჩავარდნა გქონდათ, რათა მეორე ტურში იგივე აღარ განმეორდეს?***

– ცენტრალურ შტაბში ჩართული მე არ ვარ, აქედან გამომდინარე არც გეგმაში და არც ანალიზში მე მონაწილეობა არ მიმიღია.

***– თუმცა, გექნებათ თქვენი პოზიციები.***

– შეცდომები რამდენიმეა. უბრალოდ, მე შევეცდებოდი, თავი შევიკავო ამ საჯარო საუბრისაგან იქიდან გამომდინარე, რომ უნებლიეთ გუნდი არ დავაზიანო.

***– ეს უკავშირდება თუ არა კანდიდატის არჩევასაც? მე და თქვენ ვისაუბრეთ ამ თემაზე და თქვენ ფიქრობდით, რომ დამოუკიდებელი კანდიდატისთვის მხარი არ უნდა დაგვეჭირათ.***

– შეცდომების ერთი ნაწილი კანდიდატთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე საარჩევნო კამპანიასთან.

***– „ქართული ოცნება“ საუბრობთ იმაზე, რომ არ უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“. არ ფიქრობთ, რომ ამას თქვენც – „ოცნების“ გუნდმა შეუწყეთ ხელი თქვენი ქმედებებით?***

– როცა ხელისუფლებაში ხარ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიხსნი პასუხისმგებლობას. ეს არის ის, რომ 2-ჯერ 2 არის 4. აქედან გამომდინარე პასუხისმგებლიანი გუნდი პასუხისმგებელია ყველა იმ შედეგზე, რაც მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ხდება. თუ უსინდისო ხარ, შეგიძლია ყველაფერზე დაიბანო ხელები. ჩვენი გუნდი მათ შორის ამ გარემოებაზეც არის პასუხისმგებელი.

***– ეს გასაგებია, მაგრამ დავაკონკრეტებ კითხვას. ბიძინა ივანიშვილი აკეთებდა განცხადებებს იმაზე, რომ ე.წ. შუა უნდა გაიკრიფოს და ა. შ. გვახსოვს, როგორ ებრძოდა ალასანიას გუნდს, „რესპუბლიკელებს“, მანამ იყვნენ სხვებიც. არ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერმა შეუწყო ხელი?***

– არა, ამ შედეგებთან მე პირდაპირ კავშირს ვერ ვხედავ. ვგულისხმობ კოალიციიდან „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლას. მე უფრო სხვა მიზეზები მგონია. როგორც გითხარით, ეს მიზეზები ერთი მხრივ კანდიდატში და მეორე მხრივ საარჩევნო კამპანიაში მგონია, ან პარტიაში. ამ 2 მიმართულებით ვხედავ და, ბუნებრივია, ასევე სერიოზული გარემოებაა ის, რაც შეიქმნა საზოგადოცხოვრებაში. როცა ვთქვათ, 1 ტომარა ფქვილის ღირებულება 60 ლარამდე გაიზარდა, 2.5 ლარამდე გაიზარდა 1 ლიტრი საწვავის ღირებულება, 1 ამერიკული დოლარის ღირებულება კი 2.7 ლარი გახდა და ა. შ. ამ ყველა გარემოებამ ერთად – კანდიდატმა, პარტიამ და ცხოვრებისეულმა გარემოებებმა წარმოშვა ეს და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

***– პოლარიზაციამ არ შეუწყო ხელი, რასაც ამდენი წლები მიმართავდით? რატომ არა, ვთქვათ სხვა ალტერნატივა? რატომ აიძულეთ ირაკლი ალასანია, რომ საერთოდ წასულიყო პოლიტიკიდან?***

– ირაკლი არ ყოფილა ოპოზიცია, ირაკლი იყო ჩვენს კოალიციაში.

***– მე გეკითხებით იმ ვითარებაზე, როდესაც წავიდა კოალიციიდან.***

– მერეც არ ყოფილა თანამშრომლობის მცდელობა და ა. შ. მე როგორც მაქვს ინფორმაცია. ირაკლი როგორც კი წავიდა, საბოლოო ჯამში წავიდა კიდეც. ამის შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე მკვეთრად შემცირდა. ეს ფაქტია. ისევე, როგორც „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან წასვლა. მოსწონს თუ არა ვინმეს, ეს ასეა.

***– არა, ასე არ ყოფილა. ალასანიამ კოალიცია დატოვა 2013 წელს, ხოლო პოლიტიკიდან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წავიდა.***

– დიახ, მეც მაგას ვამბობ, რომ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ხათუნა ხოფერია: „ნაციონალებმა ამდენი ხმა ვანო მერაბიშვილის სქემის საშუალებით მიიღეს“

ნონა ცაბაძე



## „ახალი თაობის“ კითხვებს ხათუნა ხოფერია პასუხობს.

***– ქალბატონო ხათუნა, გვესმის შეფასებები, რომ საზოგადოება ორადაა გახლეჩილი და პროცესი დიდი ურთიერთდაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– მე ასე არ ვიტყოდი, რომ საზოგადოება ორად არის გახლეჩილი. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ – სამად, იმიტომ, რომ აღმოჩნდა ნაწილი, რომელსაც გააჩნია გარკვეული პროტესტის გრძნობა დღევანდელი ხელისუფლების მიმართ და აი ამ გრძნობის დაყვანა ბუნებრივ, ადამიანურ მოთხოვნილებებამდე, რასაც ჰქვია კუჭის საკითხი, მე ვფიქრობ, არ იქნება სწორი და შეურაცხმყოფელიც იქნება გარკვეულწილად.

***– რატომ? რა მოთხოვნა ჰქონდათ მათ?***

– ამ ადამიანების დიდ ნაწილს პროტესტი აქვს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის სამართლიანობის აღდგენა, იმიტომ, რომ რეალურად ეს ხელისუფლება მოვიდა ამ დაპირებით! იცით, ნაციონალური რეჟიმის დროს რაც ხდებოდა. ეს უბრალოდ ადამიანის უფლებების დარღვევა არ იყო, ეს იყო დანაშაული, ჩადენილი ადამიანების წინაშე! ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორია, ეს არის ნაციონალური მოძრაობის წარსული და ადამიანებს უნდოდათ, აღდგენილიყო სამართლიანობა და ეს ადამიანები დასჯილიყვნენ.

***– ხომ დაისაჯნენ?***

– კი, გარკვეული ნაწილი ადამიანების არის დასჯილი, იმას ვერ ვიტყვით, რომ არ დასჯილან. მათ შორის დაისაჯნენ ლიდერები და პასუხისგებაშიც არიან მიცემულნი.

***– დიდი ნაწილი არა მარტო დაუსჯელია, ისინი შეუერთდნენ „ოცნების“ რიგებს და ამ ხელისუფლებასთან არიან გაიგივებული. ხომ ასეა?***

– დიახ, ასეა. შევთანხმდეთ, რომ ეს ადამიანები გაბრაზებულები არიან, ისინი ითხოვდნენ სამართლიანობას, ითხოვდნენ ცვლილებებს და ეს ცვლილებები არ მოხდა. ითხოვდნენ ამ ადამიანების ჩამოცილებას ქვეყნის მართვისგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანების ნაწილი არის სახელმწიფოს შიგნით, თანამდებობებზეც არიან. გახსნი მათ ბიოგრაფიას და ხედავ, რომ ამ ადამიანმა თავისი კარიერა გაიკეთა ნაციონალური მოძრაობის ყველაზე აღვირახსნილ პერიოდში.

***– რა პერიოდს გულისხმობთ?***

– 2006 წელს, 2007 წელს, 2008 წელს, როდესაც უკვე მომხდარია ჟვანიას მკვლელობა, გირგვლიანის მკვლელობა, პატარკაციშვილის მკვლელობა და ეს ადამიანები იკეთებენ კარიერას ამ პერიოდში. ისინი მუშაობენ და ემსახურებიან ვის? – რეჟიმს!

აი, ეს არის ის მესამე ფენა, რომელმაც თავისი სამართლიანობის აღდგენის სურვილი, იმის სურვილი, რომ ის დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც მსგავსი არაფერი ემუქრება, ვერ დაიკმაყოფილა!

ამიტომ შევთანხმდეთ, რომ დღეს საქართველო არ არის ორ ნაწილად გახლეჩილი. ამისი ილუზია უბრალოდ ნუ ექნება ნურავის, რომ ერთს აქვს 38%, მეორეს – 37%. არა, ჩემო კარგებო, არის კიდევ მესამე ძალა, რომელმაც თავისი ხმები ამ სიტუაციაში გამოიყენა საიმისოდ, რომ დაესაჯა ხელისუფლება! იცით, კიდევ რაშია ამ ხელისუფლების დანაშაული?!

***– რაში?***

– ხელისუფლებამ არასოდეს უნდა მიიყვანოს თავისი ამომრჩეველი იქამდე, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად ამ ადამიანებმა გამოიყენონ კონსტიტუციით მონიჭებული ყველაზე დიდი უფლება, რაც არის ხმის მიცემისა და არჩევითობის უფლება! გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ეს კონსტიტუციური უფლება გამოეყენებინა იმისთვის, რომ ხელისუფლება დაეყენებინა ფაქტის წინაშე, აეხილა მისთვის თვალი და ამით დაესაჯა.

***– ეს გამოუვიდათ?***

– ალბათ ხვდებით, ეს რას ნიშნავს, როდესაც ვიღაც თვლის, რომ ვაშაძისთვის ხმის მიცემით გსჯის შენ, ის თავის თავსაც ისჯის, რადგან ის არ არის ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი. მისთვის ნაციონალური მოძრაობა არის ისეთი ბოროტება, რომ მას იყენებს შენ დასასჯელად, შენ ჭკუაზე მოსაყვანად.

პრაქტიკულად საზოგადოებამ გაიარა ბეწვის ხიდზე. მან გამარჯვება მაინც სალომე ზურაბიშვილს მიანიჭა, მაგრამ თავისი პოზიციის გასამყარებლად, იმისთვის, რომ მოეყვანა ჭკუაზე მის მიერვე მოყვანილი ხელისუფლება, გამოიყენა თავისი კონსტიტუციური უფლება, ხმის მიცემის უფლება!

***– რამდენად გაჭრის ეს, მოეგება ხელისუფლება გონს?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო, რომ ის ყოფილიყო ერთიანი, გუნდური ძალა. მოსახლეობამ „ოცნებაში“ დასაჯა პორტირებულები, ვიღაცების მიერ ჩაბმული ადამიანები და არა – მთლიანად „ქართული ოცნება“.

ის პროცენტი, რომელიც დაიდო, ეს არის ხმები იმ ადამიანების, ვინც ჯერ კიდევ ნდობას უცხადებს ბიძინა ივანიშვილს და ხვდება, რომ საჭიროა გარკვეული პიროვნებების შეჯანჯღარება. ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილს სჭირდებოდა, რომ მის გარშემო მყოფი ძალები შეჯანჯღარებულიყო, დასუფთავებულიყო და რადიკალური ნაბიჯები ყოფილიყო გადადგმული საიმისოდ, რომ ნდობის საბოლოო დაკარგვა არ მომხდარიყო.

***– ბიძინა ივანიშვილი შეცდომით დაეყრდნო იმ ძალას, ვისაც დაეყრდნო, მას უღალატეს და ასე შემდეგ?***

– მე ვერ გეტყვით, რომ შეცდომით დაეყრდნო. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლისას კონკრეტულად დაასახელა პოლიტიკური ძალები, ვისთანაც ითანამშრომლებდა. მისი მხრიდან ეს იყო საკმაოდ გააზრებული ნაბიჯი. ეს იყო გაკეთებული ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე. თუნდაც საგარეო ფაქტორიდან გამომდინარე, რომ გარკვეული მხარდაჭერები ყოფილიყო შენარჩუნებული.

პოლიტიკური გამოცდილების მქონე ძალებზე ცადა მან დაყრდნობა და ის ადამიანები მოიყვანა თავის პოლიტიკურ პარტიებთან ერთად. შეცდა თუ არ შეცდა, ვერ გეტყვით. 6 წელი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და გარკვეულ პერიოდში ამ ადამიანებმა, ამ პოლიტიკურმა ჯგუფებმა თავიანთი როლი პროცესში ითამაშეს.

## „გრიგოლ ვაშაძემ მისცა ვანოს გათავისუფლების პირობა და ვანომაც მისცა გასაღები ამ სქემის დასამუშავებლად“

***– კარგი თუ ცუდი როლი?***

– ვთქვათ სიმართლე, რომ ბევრმა მათგანმა გადააჭარბა. როგორც წესი, ქართველებისთვის არის დამახასიათებელი, როდესაც საქვეყნო საქმეს აკეთებ, აუცილებლად უნდა იზრუნო საკუთარ კუჭზე, საკუთარ ოჯახზე და საკუთარ ნათესაობაზეც და ძირითადი გამაღიზიანებელი იყო ეს.

ასევე დაგროვდა ბევრი კორუფციული ფაქტი, პოლიტიკური თამაშები. იგივე ივანიშვილისთვის ხელების გადაგრეხის ბევრი მომენტი ვნახეთ ამ 6 წლის განმავლობაში. თუმცა, „ქართული ოცნება“ ძალიან ადვილად და მართებულად თავისუფლდებოდა ამ ადამიანებისაგან. მთელი 6 წლის განმავლობაში ხდება დაწრეტა და გასუფთავება იმ პოლიტიკური ძალის, რომელიც არსებობს. დღესაც მათი ყველა გამოსვლა იწყება იმით, რომ მოხდება შიდაპარტიული წმენდა.

***– რამდენად მოახერხებენ ამას? აქვთ საამისო დრო?***

– ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს, რადგან ძალიან მოკლე დროა საიმისოდ, რომ ასეთი ძვრები განხორციელდეს. ჯერჯერობით მე წმენდასა და შიდაპარტიულ ცვლილებებს ვერ ვხედავ.

***– რა იქნება მეორე ტურში?***

– დღეს იცით, როგორი განწყობაა? თუნდაც ის ნაწილი, რომელმაც თავი შეიკავა და არ მივიდა არჩევნებზე, ან მივიდა და შემოხაზა იგივე ანდრიაძე ან შაშიაშვილი, ან თუნდაც უსუფაშვილი, არ თვლის, რომ მეორე ტურში მიდის სალომე ზურაბიშვილის ასარჩევად.

***– როგორი იქნება მათი არჩევანი?***

– მეორე ტური მათთვის არის საკუთარი პოლიტიკური აქტი, რომლითაც ისინი გადაირჩენენ თავს, გადაარჩენენ თავიანთ ოჯახებს, გადაარჩენენ თავიანთ წარსულს და გადაარჩენენ საქართველოს მომავალს იმით, რომ 48 ნომერს შემოხაზავენ.

დღეს ძალიან სერიოზული გაერთიანება მიდის ამის გარშემო. ეს ხალხი აღარ უსმენს არც ერთ მხარეს, თვითონ იღებს საკუთარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და მიდის საზოგადოების გაერთიანება ამ იდეის გარშემო.

მეორე ტური იქნება სახალხო პროცესი, როდესაც ხალხი თვითონ მიიღებს საკუთარი თვითგადარჩენისთვის გადაწყვეტილებას.

***– ანუ თქვენც უერთდებით იმ პათოსს, რომ ეს არის ქვეყნის, მომავლის გადარჩენა?***

– დიახ და ეს არის ჩვენი მონაპოვრის გადარჩენა, რაც იყო 2012 წელს. ეს ჩვენი ერთიანობის აქტი იქნება. ჩვენ ნამდვილად ბევრნი ვართ და არ გვემეტება საქართველო არავისთვის.

ნაციონალურმა მოძრაობამ 2016 წელს აიღო 27%, დღეს კი ეს რიცხვი გაზრდილია ძალიან სერიოზულად. ბუნებაში ეს ადამიანები არ არსებობენ ასეთი რაოდენობით, რომლებიც ასე თვალდახუჭული მივიდოდნენ და შეემატებოდნენ. ეს არის ძალიან სერიოზული ქვედა დინებები და მე იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამას მაინც ახდის ფარდას და საზოგადოებას ეტყვის, რეალურად ვინ არის ის 200 თუ 250 ათასი კაცი, რომელიც არჩევნების დღეს სადღაც ჰაერიდან გაჩნდა ნაციონალებთან.

***– თქვენ გაქვთ ინფორმაცია, რა მოხდა და ვინ არიან?***

– მე ვფიქრობ, რომ ესენი არიან მიძინებული პირადობის მოწმობის მატარებელი ადამიანები.

***– ნაციონალებს ჰქონდათ ამის გამოყენების საშუალება?***

– ამას არაფერი საშუალება არ უნდა, ეს არის ძალიან სუფთად გაკეთებული, ჯერ კიდევ დაწყებული 2008 წლიდან. პროცესი, რომლებსაც ისინი აკეთებდნენ, ეს არის მისამართებზე მიწერილი ხალხი, რაღაცა პირადი ნომრებით, პირადობის მოწმობებით, სიაში შეტანილი ფოტოებით და ასე შემდეგ.

დაახლოებით სიტუაცია არის ასეთი, რომ თითოს სადღაც სამი-ოთხი ხმის მიცემის უფლება გაუჩინა ნაციონალურმა მოძრაობამ. ამ ხელისუფლებაშიც ეყოლებოდათ მხარდამჭერები და ხელშემწყობები.

ეს არის ის სქემა, რომელიც პირადად ვანო მერაბიშვილს ებარა. გრიგოლ ვაშაძემ უკვე ბევრჯერ ახსენა, რომ მერაბიშვილს გამოუშვებს. როგორც ჩანს, მისცა ვანოს გათავისუფლების პირობა და ვანომაც მისცა გასაღები ამ სქემის დასამუშავებლად.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „პარტიის მართვაში არ ვმონაწილეობ, თქვენი კითხვა სხვებს ეკუთვნით“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ალასანიას წასვლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა მისი ყოფილი პარტიის გავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე. ალასანია ბევრად ძლიერი ლიდერი იყო და აქედან გამომდინარე მას უფრო მეტი გავლენა ჰქონდა პროცესებზე. შემდეგ კი შესუსტდა „თავისუფალი დემოკრატების“ ზეგავლენა.

***– თუმცა, ეს არ ასუსტებს თქვენს პასუხისმგებლობას, როგორც გუნდის. იმას, რომ ვთქვათ, არ შეუწყეთ ხელი სხვა პარტიების გაძლიერებას, არა კონკრეტული ქმედებებით, არამედ მუდმივად ამ შავი და თეთრი პოლიტიკური ფერების ძახილმა, თქვენი აზრით, ამას ხელი არ შეუწყო?***

– ხელისუფლების ამოცანა არ მდგომარეობს იმაში, რომ ოპოზიციური პარტიებიდან შეარჩიოს სიმპატიზანტი და ამის ხელშეწყობით შეეცადოს სხვა ოპოზიციური პარტიების განეიტრალებას. ეს არ არის ჯანსაღი პოლიტიკის გამოვლინება. ოპოზიციური პარტიებიდან სელექცია ამომრჩეველმა უნდა მოახდინოს. საზოგადოება უნდა იყოს მთავარი შემრჩევი და არა ხელისუფლება.

***– ხელისუფლების ჩარევა ოპოზიციური პარტიებისთვის ზიანის მიყენებით, არა მგონია, სწორი პოლიტიკა იყოს. ხელისუფლების ამოცანა დახარისხება არ არის. ვინმესთვის ხელის შეწყობა, ან ვინმესთვის ხელის შეშლა.***

– ხელისუფლების ამოცანა არც ოპოზიციის დასუსტებაა. რისი მცდელობებიც გქონდათ 2016 წელს, როცა ივანიშვილის ყველა ეთერი ალასანიას და უსუფაშვილის კრიტიკით იწყებოდა და ამითვე მთავრდებოდა. რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ჩარევებზე.

ამ თემაზე პასუხისმგებლობას მე ვერ ავიღებ. იქიდან გამომდინარე, რომ პარტიის მართვაში მე არ ვარ ჩართული. დიდი მონდომების მიუხედავად, ამაზე პასუხისმგებლობის აღება გამიჭირდება.

***– რატომ არ ხართ ჩართული, რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

– ამ შემთხვევაში ეს ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ამას თავისი წესები აქვს და, შესაბამისად, ეს შეკითხვა სხვებს ეკუთვნით, ვიდრე მე. ვინც აკომპლექტებს პარტიას, ეს შეკითხვაც მას ეკუთვნის.

***– გუნდმა გადაწყვიტა ასე?***

– მოდით, ეს კითხვა ღიად დავტოვოთ. ფაქტია, რომ ამ კითხვაზე ადრესატი მე არ უნდა ვიყო. ვინ უნდა იყოს ადრესატი, ამას თქვენ ნამდვილად გამოიცნობთ.

***– ჩემი დასკვნაა, რომ ბიძინა ივანიშვილი.***

– პარტია მარტო ერთი კაცი არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე მე არ ვიტყოდი, რომ მარტო ბიძინაა პასუხისმგებელი. სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება აფუჭებს საქმეს, რომ ერთი კაცის მხრებზე გადადის ყველაფერი. წარმატებაც და წარუმატებლობაც. ეს არ არის სწორი მიდგომა და სწორი მენეჯმენტი.

***– თუმცა, ეს კითხვები თქვენი გუნდის მისამართით მუდმივად ისმის.***

– კი, ისმის. იმიტომ, რომ საზოგადოება მართვაში ამ ხარვეზებს ხედავს. მეც ხშირად დამისვამს ეს შეკითხვა. მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს „ქართული ოცნების“ პატიოსანმა, კვალიფიციურმა, მებრძოლმა, ერთგულმა კადრმა, რომ მიაღწიოს დაწინაურებას. პარტიულ იერარქიაში იქნება ეს თუ ხელისუფლების რომელიმე განშტოებაში. არ არის განსაზღვრული ეს კრიტერიუმი.

***– მე ეს კითხვა გუნდში ხშირად დამისვამს. პოლიტიკურ პროცესს სჭირდება გაზომვადი და განჭვრეტადი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა და არა სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით. თუ სისტემა ვერ ააშენე, ამ შემთხვევაში ძნელია წარმატებული მენეჯმენტის განხორციელება.***

– 2 ნოემბერს „ქართულ ოცნებაში“ რეგიონულ მაჟორიტარებთან იყო შეხვედრა. თქვენ არც ამ შეხვედრაზე არ ყოფილხართ?

***– არა, არც ამ შეხვედრას არ დავსწრებივარ.***

# „დღეიდან ჩემი ქმარი ჩემი მოწინააღმდეგეა“

## ოზურგეთელი ცოლ-ქმარი ვაშაძის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა



ოზურგეთის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი თამარ დუმბაძე გრიგოლ ვაშაძისთვის მხარდაჭერის გამოცხადებისთვის რესპუბლიკელ ქმარს დაუპირისპირდა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

როგორც დუმბაძე სოციალურ ქსელში წერს, ის ემიჯნება ქმრის პოლიტიკურ შეხედულებებს და მეტიც, ვლადიმერ ვადაჭკორია მისი მოწინააღმდეგე გახდა.

„მინდა გამოვეხმაურო ჩემი მეუღლის ვლადიმერ ვადაჭკორიას მიერ გაკეთებულ განცხადებას. მე მკვეთრად ვემიჯნები მის პოლიტიკურ შეხედულებებს და პოზიციას არჩევნებთან დაკავშირებით.

ძალიან რთულია, როდესაც ოჯახში აზრთა სხვადასხვაობაა და ეს დიდი კონფლიქტის წყარო გახდა. ჩემი პოსტის არასწორად გააზრების გამო ვაქვეყნებ ამ პოსტს.

ჩემი სათქმელი მკაფიო და შეუცვლელია, დავიღალე იმით, რომ ყოველთვის ჩემი მეუღლისა და ჩემს პოზიციას ერთმანეთში აიგივებენ. წლებია, მე ვარ ქართული ოცნების მხარდამჭერი და ნებისმიერ წინააღმდეგობას ვუმკლავდები მის დასაცავად.

მე არ ვგავარ ადამიანებს, რომლებიც დროს უწყობენ ფეხს და იცვლიან პოზიციებს. მე ვგმობ მის განცხადებას და მეტიც, დღეიდან ჩემი მოწინააღმდეგეა, – წერს თამარ დუმბაძე.

# გიორგი ქადაგიძე: „მსხვილ ბიზნესს არასდროს არც ერთ ხელისუფლებასთან არ უჭირდა საკუთარი ინტერესების ლობირება“



ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე მამუკა ხაზარაძის განცხადებას ეხმიანება.

ხაზარაძის თქმით, „2007 წელს თიბისი ბანკს პრაქტიკულად შეუჩერდა ძირითადი საქმიანობის – კრედიტების გაცემის საშუალება“.

„მხოლოდ ჯიუტი რიცხვები, კომენტარის გარეშე: თიბისი ბანკის საკრედიტო დაბანდება 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 594 მილიონი ლარი, საკრედიტო დაბანდება 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,173 მილიონი ლარი (წლიური ზრდა 97%).

არაერთხელ მითქვამს, პრეზიდენტ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, მსხვილ ბიზნესს არასდროს არც ერთ ხელისუფლებასთან არ უჭირდა საკუთარი ინტერესების ლობირება (ცალკეული შემთხვევების გამოკლებით).

აი ვისი ხმაც არასდროს ისმოდა, ეს არის მცირე და საშუალო ბიზნესი. ადამიანები ვისთვისაც 20, 50 და 100 ათას ლარიანი ჯარიმა და საურავი გაკოტრების ტოლფასი იყო.

საერთაშორისო ბირჟებზე ქართული კომპანიების აქციებზე მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასიც გაიზარდა, რაც სხვა საკითხებთან ერთად ცალსახად მიუთითებს ინვესტორების საერთო ოპტიმიზმზე, – წერს ქადაგიძე თავის სოციალურ ქსელში.

# გიორგი ქობულია: „ლარი აბსოლუტურად სტაბილურია და ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ თავს“



ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას თქმით, ლარის კურსი კიდევ უფრო მყარდება და ეს პროცესი გაგრძელდება.

– ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობა არის ძალიან კარგი. ექსპორტი იზრდება. ჩვენ ვთვლით, რომ ლარი აბსოლუტურად იქნება სტაბილური და კიდევ უფრო სტაბილურობას დაუბრუნდება წლის ბოლოსკენ.

ვვარაუდობთ, რომ ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდება და ზრდა მომავალი ორი თვის განმავლობაში იქნება კიდევ უფრო ძლიერი. ამიტომ ჩვენ, პრინციპში, ძაან კომფორტულად ვგრძნობთ თავს ამასთან დაკავშირებით, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

**ნიუპოსტი**

# სოციალურად დაუცველი ბავშვები 50-ლარიან დახმარებას მიიღებენ



პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებას, რომ სოციალურად დაუცველი 16 წლამდე მოზარდები და მათი ოჯახები ხუთჯერ მეტ დახმარებას ანუ 50 ლარს მიიღებენ, ოპოზიცია მორიგ წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს და ბევრ ეჭვს უჩენს.

როგორც ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი „კომერსანტთან“ განმარტავს, ბახტაძის მიერ დაანონსებული სიახლე სამი მიზეზის გამო არის არაეფექტიანი და უმოქმედო.

– პირველი – ცალსახა და ფაქტია, რომ ეს არის უბრალოდ წინასაარჩევნო კამპანია. მით უმეტეს, თქვეს, რომ გავიგეთ ხალხს უჭირს და შესაბამის ზომებს მივიღებთო. მეორე – ბიუჯეტში, რომელიც ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ შედგენილია, არაფერია ნახსენები მსგავსი სოციალური დახმარების შესახებ. ახლა, როცა დოკუმენტის მეორე მოსმენის ეტაპი დაიწყება, მთავრობამ მინიმუმ უნდა შეიტანოს ცვლილებები. და ბოლოს, მესამე – უკვე წლებია მთავრობას ვეუბნებით, რომ სოციალური ხარჯი აბსოლუტურად გადასალაგებელია, მაგრამ პასუხს გვიბრუნებენ ისევ კითხვით, რას მოვაკლოთო, როცა ამდენ ინფრასტრუქტურულ პროექტს ვახორციელებთო. თურმე შესაძლებელი ყოფილა, რადგან მოაკლეს და სოციალური დახმარება გაზარდეს. აქამდე არ იცოდნენ და წინასაარჩევნოდ გაახსენდათ, – განმარტავს ჭიაბერაშვილი.

ლარის გაუფასურების, გაძვირებული პროდუქტებისა და მედიკამენტების, სიღარიბის გაუარესების ფონზე, „კომერსანტის“ კითხვაზე, რამდენად ადეკვატურია 50 ლარიანი სოციალური დახმარება, ზურაბ ჭიაბერაშვილის პასუხი ასეთია:

– 2012 წლის ივლისში „იუნისეფი“-მ გამოაქვეყნა 2011 წლის შედეგები და მაშინ სიღარიბე იკლებდა ყველა ჯგუფში. მხოლოდ ბავშვიან ოჯახებში არ დაიკლო საკმარისად. ორგანიზაციამ გასცა რეკომენდაცია, რომ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე გაზრდილიყო დანამატი 25 ლარის ოდენობით. ეს ხდება, როცა კურსი არის 1 ლარი 65 თეთრი. დღეს, რომ „იუნისეფი“-მ იმავე სახის რეკომენდაცია გასცეს, თავად გამოიტანეთ დასკვნები, რა ეწერება დოკუმენტში. მას შემდეგ, რაც 2015 წელს მთავრობამ 10 ლარიანი დანამატი დაამტკიცა სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და ოჯახებზე, სადაც მოზარდები არიან, ბევრი რამ შეიცვალა. 50 ლარის ადეკვატურობაზე ზედმეტია საუბარი, – განმარტავს ჭიაბერაშვილი.

არსებულ რეალობასა და მდგომარეობას განსხვავებულად აფასებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დიმიტრი ხუნდაძე. მისი განმარტებით, სოციალური დახმარების პროგრამა საზოგადოებამ უნდა მიიღოს როგორც ერთიანი სტრატეგია. ასეთ შემთხვევაში კი მთავრობა დროულ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებს.

***– ბატონო დიმიტრი, როგორ ფიქრობთ, გაზრდილი სიღარიბის პარალელურად, 50 ლარი რამდენად საკმარისი და ადეკვატური თანხაა დღეს?***

– როდესაც საუბარია გაზრდილ სიღარიბეზე, აპელირება ხდება „იუნისეფი“-ს 2015 წლის მონაცემებით, რის შემდეგაც ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის დაინერგა მთიან რეგიონში ბავშვთა დახმარების პროგრამა; პირადად ჩემი ინიციატივაა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის მხარდაჭერის პროგრამაც, რომელიც მალე ამოქმედდება. ცალკე 50 ლარი რომ ავიღოთ, შეიძლება არ არის საკმარისი, მაგრამ ეს არის მხოლოდ შემადგენელი მთლიანი ჯანდაცვის ნაწილის, რაც ჯამში ოჯახებს მნიშვნელოვან შეღავათებს გაუწევს, – განმარტავს დიმიტრი ხუნდაძე.

დიმიტრი ხუნდაძე არ ეთანხმება ზურა ჭიაბერაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მამუკა ბახტაძის მიერ გაკეთებული განცხადება წინასაარჩევნო კამპანიაა. მისი თქმით, ოპოზიცია პოზიტივისაც ნეგატივად გარდაქმნის.

– არანაირად არ არის ეს წინასაარჩევნო კამპანია. საპირწონედ გეტყვით, რომ მაგალითად, რამდენიმე კვირაში უნდა დაიდოს მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერილი პროგრამები, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიიღო მთავრობამ და დაავალა პარლამენტს, წლის განმავლობაში შემუშავებულიყო. უბრალოდ, ოპოზიციას სჩვევია კარგის ნეგატიურად შეცვლა, რასაც ჩვენი ოპონენტები ცუდად ნამდვილად არ ახერხებენ, – აღნიშნავს ხუნდაძე.

„კომერსანტი“-ს კითხვაზე, თუ წინასაარჩევნო კამპანია არ არის, მაშინ აქამდე რატომ არ იყო უკვე შემუშავებულ ბიუჯეტში აღნიშნული სოციალური დახმარების გაზრდის საკითხი (მით უმეტეს, როცა თანხის ზრდაზეა საუბარი და ამ კუთხით პენსიის 20 ლარით გაზრდა დოკუმენტში გაწერილია), ხუნდაძე განმარტავს:

– სოციალური მიმართულებით ბიუჯეტი საკმაოდ მსხვილად არის წარმოდგენილი და ეს გახლავთ სოციალურად დაუცველთა საბიუჯეტო ხარჯი, რაც ერთიანადაა განსაზღვრული. ამ მთლიან ხარჯში იგულისხმება ბახტაძის ინიციატივაც.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული ინიციატივა შეეხება 140.000-მდე სოციალურად დაუცველ ბავშვს და ეს საკითხი მომავალი წლის ბიუჯეტშიც იქნება ასახული. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 125,391 არასრულწლოვანი იღებს საარსებო შემწეობას, რაც თვეში 10 ლარს, ანუ დღეში 33 თეთრს შეადგენს

# დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ვიღებთ გაზრდილ ვალებს, რაც ბიუჯეტს დიდ ტვირთად აწვება

2019 წელს 1.4 მლრდ ლარის საინვესტიციო სესხების მობილიზება იგეგმება, რაც მიმდინარე წლის გეგმას 128 მლნ ლარით (10%-ით) აღემატება. კანონპროექტით გათვალისწინებულია 11 ახალი საინვესტიციო პროექტის დაწყება და წინა წლებში დაწყებული 42 პროექტის გაგრძელება.



– 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით დაფინანსება ეზრდება ისეთ 18 საინვესტიციო პროექტს, რომელთა შესრულების მდგომარეობა 2018 წლის 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმასთან მიმართებაში 50%-ზე დაბალია. – ამის შესახებ ,,საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ აუდიტის დასკვნაშია საუბარი.

ინფრასტრუქტურული პროექტების გეგმასთან მიმართებით დაბალი შესრულების შესაძლო მიზეზებზე კომერსანტთან საუბრობს „შეაჩერე კორუფციას“ დამფუძნებელი, ქეთევან ენუქიძე.

შეკითხვაზე – რამ განაპირობა ის, რომ ვალით დაფინანსებული პროექტები გეგმის მიხედვით არ ხორციელდება და რამდენად მიზანშეწონილია ასეთი პროექტების დაფინანსების გაგრძელება? ქეთევან ენუქიძის პასუხი ასეთია:

– ეს შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზით: პროექტები, რომლების ღირებულება რეალურად აღემატებოდა გამოყოფილ თანხას. მაგალითად, სენაკი-ფოთის სარფის საავტომობილო გზის 48-კმ, 64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა შეუძლებელი იყო თავდაპირველი ბიუჯეტის გათვალისწინებით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ლარის მერყევი კურსი, ან პროექტირებისას დაშვებული შეცდომები და უზუსტობები. ქობულეთის წყალარინების შემთხვევაში კი პროექტი 2019 წლის ბიუჯეტში 1 მილიონი ლარით არის შემცირებული. აქ ან მასშტაბებია შემცირებული, ან მასალა, რომლითაც პროექტი უნდა განხორციელდეს.

პროექტები, რომელთა ბიუჯეტის ათვისება მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა, მაგრამ კვლავ გამოყოფილია თანხა, კიდევ უფრო საინტერესოა.

თუ მათი განხორციელება ვერ მოხერხდა, ეს შეიძლება აიხსნას ან დაუდევრობით, ან პასუხისმგებელთა არაპროფესიონალიზმით, ან სიფრთხილით, რაც ასევე მეტყველებს საჭიროების გაუაზრებლობაზე. შეიძლება სამივე ფაქტორი ვივარაუდოთ. საინტერესო იქნებოდა ანალიზიც, რომელიც ამ პროექტების წარმატებით დასრულების გარანტიას მოგვცემდა. ხაზს ვუსვამ, რადგან თანხა ხელახლა გამოიყო, ე.ი. პროექტი მნიშვნელოვანია და ის უნდა განხორციელდეს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რა ტიპის რისკები არსებობს წარუმატებლობასთან დაკავშირებით. ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს და კარგი იქნებოდა, თუ გვექნებოდა მიზეზთა სარწმუნო განმარტებაც.

აუდიტის დასკვნაში დასახელებულია პროექტები რომელთა ფარგლებშიც საერთოდ არ მომხდარა თანხების ათვისება როგორც 2017, ასევე 2018 წლის განმავლობაში. კერძოდ, აღნიშნული პროექტებია: თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი; ბათუმის ავტობუსების პროექტი და აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი.

– არც ერთის აუცილებლობაში არ გვეპარება ეჭვი. მაშინ ეჭვი უნდა შეგვეპაროს ტენდერთან მიმართებით. პრეტენდენტების შერჩევასთან მიმართებით. ამ მიმართულებით განვითარებული კომპანიების შესაძლებლობებთან და კეთილსინდისიერებასთან მიმართებით და ა. შ. ჩვენ ვიცით, რომ დონორების მიერ დაფინანსებული ძალიან ბევრი პროექტი არ არის დასრულებული. ზოგ შემთხვევაში გამოყოფილ თანხასთან შედარებით მაღალი ფასიც კია შეთავაზებული, რადგან, სავარაუდოდ, პროექტის რეალური ღირებულება არ შეესაბამება წარმოდგენილ თანხას.

ქეთი ენუქიძის თქმით, ის ფაქტი, რომ ხშირად ტენდერებში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობა ფიქსირდება, ამცირებს კონკურენციას და, ამავე დროს, ზრდის წარუმატებლობის და კორუფციის რისკებს.

– კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება იწვევს სესხის მომსახურების ხარჯების ზრდას, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის (Commitment Fee) დაკისრებას სესხის აუთვისებელ ნაწილზე . მაგალითად, 2018 წლის 8 თვის მდგომარეობით, ასეთი დაბალი ათვისების პროექტების შემთხვევაში სულ გადახდილია 1.5 მლნ ლარის მოცულობის ვალდებულების გადასახადი, – აღნიშნულია აუდიტის დასკვნაში.

„კომერსანტის“ კითხვაზე – ვინაა პასუხისმგებელი ერთი მხრივ პროექტების განხორციელების გეგმის დარღვევაზე და მეორე მხრივ, სესხის აუთვისებელი ნაწილის გამო დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე?

**ქეთევანი ენუქიძე პასუხობს:**

– პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, არის ის ფონდი, რომელიც განკარგავს თანხებს, არჩევს პრეტენდენტებს ტენდერებისა და კონკურსების დროს.

მაგალითისთვის ავიღოთ მუნიციპალური განვითარების ფონდის რამდენიმე ტენდერი და გამარჯვებული კომპანია.

დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაცია სამუშაოების ხანგრძლივობაა 12 (თორმეტი) თვე სამუშაოების დაწყებიდან. გამარჯვებული კომპანიაა კ.ე.ქონსტრუქტიონ-ჯეორჯია (ერთი მონაწილე) ღირებულება 1.549.000 ლარი. წესით, უნდა დასრულებულიყო 2017 წლის დეკემბერში, მაგრამ გადაიდო 2019 წლის იანვრისთვის.

ხშირად რომელიმე გამარჯვებული კომპანიის დისკვალიფიკაცია ხდება ისეთი დეტალის გამო, როგორიც არის რამდენიმე თეთრის ცდომილება ფასთაღრიცხვაში, ინჟინრის სამუშაო გამოცდილება, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, ხოლო გამარჯვებული კომპანიები ყოველთვის არ გამოირჩევიან მაღალი სანდოობით. თუნდაც, კომპანია „არნაბი 21“-ს 2014 წელს საჩხერის ცენტრალური ქუჩების სარემონტო სამუშაოების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეუწყდა, მაგრამ იმავე წელს ერთ თვეში გაუფორმდა სხვა ხელშეკრულება. მუნიციპალური განვითარების ფონდმა კი 2017 წლის ნოემბერში 9,764,268 ლარის ხელშეკრულება გაუფორმა შპს ორიენტირთან“, შპს „საქმილსადენმშენთან“ ერთობლივ პროექტში ჭრებალო ნიკორწმინდის გზის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისათვის (კმ14,6-კმ 25,8).

ამ ფონდის ტენდერებს თუ გადავხედავთ, ჩვენ მიერ შესწავლილი 162 პროექტიდან, რომელთა განხორციელება 2014 წელს დაიწყო, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, დასრულებული იყო 11. ამავე დროს, იყო რამდენიმე თავისებურებაც. ერთ მაგალითს შემოგთავაზებთ:

სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის პროექტირება და მშენებლობა ფოთში. გამარჯვებულია კომპანია „სს კობრა ინსტალასიონესი სერვისიოს საქართველოს ფილიალი“, პროექტის საწყისი ღირებულება იყო 8.500.000 ლარი. კომპანიამ გაიმარჯვა 14.500.136 ლარით.

კითხვის ნიშანი უამრავია. რატომ არ ხდება პროექტის და მისი განხორციელებისათვის საჭირო თანხის შესაბამისად დაანგარიშება? რასთან გვაქვს საქმე?

ქეთევან ენუქიძე ასევე საუბრობს შემთხვევებზე, როდესაც პროექტის განხორციელების ვადა გასულია, მაგრამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩარიცხული.

– ასეთ შემთხვევებში რამდენიმე კითხვა ჩნდება: თუ კომპანია ვერ ახორციელებს თავის საქმეს, რატომ არ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა? თუ ახორციელებს, რატომ არ ერიცხება თანხა, რათა პროექტი დასრულდეს?

ფოთის მშვიდობის ქუჩის სანიაღვრის სატუმბი სადგურის მშენებლობისათვის, რომელიც 2017 წლის სექტემბერში უნდა დასრულებულიყო, შპს კირსს თანხის 86% ჩაერიცხა.

ხობის მუნიციპალიტეტში ყოფილი კინოთეატრ „თუთარჩელას“ შენობაში კი მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობის სამუშაოებისთვის, რომელიც 2018 წლის უნდა დასრულებულიყო, ფერლით-ჯორჯიას – 17%.

კომპანია ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს გადარიცხული აქვს თანხის 39% თიანეთის მუნიციპალიტეტში არჩილის მონასტერთან და ჟებოტის ამაღლების კომპლექსთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის, რომელიც 2017 წლის ივლისში სრულდებოდა ხელშეკრულების თანახმად.

როგორც ვხედავთ, შემთხვევები მრავალფეროვანია, რაც არ გვაძლევს ერთგვაროვანი დასკვნის საშუალებას. თუმცა ერთი რაღაცის თქმა უდავოდ შეიძლება:

– გასამკაცრებელია კონტროლის მექანიზმები, დასახვეწია პროექტირების სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ დაუსრულებელ, თუმცა უდავოდ საჭირო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად ვიღებთ გაზრდილ ვალებს, რაც ბიუჯეტს დიდ ტვირთად აწვება. – განაცხადა ქეთი ენუქიძემ.

# ლაშა გოგიას და გია გულორდავას ბრალი წარედგინათ




ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილ მერს ლაშა გოგიას და ყოფილ ვიცე-მერს გია გულორდავას ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

გამოძიება მათ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს.

როგორც გია გულორდავას ადვოკატმა ზაქრო გვიშიანმა ბრალის წარდგენის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, გია გულორდავა ბრალს არ აღიარებს და მას ჩვენება სრულყოფილად არ მიუცია.

– იგი კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებს. არანაირ თანამშრომლობაზე საუბარი არ გვაქვს. რაც შეეხება მტკიცებულებებს, ახლახან გადმომეცა, თუმცა, არის აუდიო ჩანაწერები, გამოკითხვის ოქმები და წერილობითი მტკიცებულებები, – აღნიშნა ზაქრო გვიშიანმა.

რაც შეეხება ყოფილ მერს ლაშა გოგიას, ადვოკატის ინფორმაციით, წარდგენილ ბრალს არც ის ეთანხმება.

ადვოკატ მერაბ მამულაძის თქმით, აღკვეთ ღონისძიებაზე სასამართლო 3 ნოემბერს იმსჯელებს.

მისივე თქმით, უკვე ცნობილია, რომ გამოძიება ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენებას მოითხოვს.

გამოძიების ინფორმაციით, 2018 წლის პირველ ნახევარში, ლაშა გოგიამ და გია გულორდავამ, რომლებიც იმ პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის და ვიცე-მერის თანამდებობებს იკავებდნენ, ქალაქ ზუგდიდში მდებარე გულუას ბაღის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიების იჯარით გასაცემ აუქციონზე გატანის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს და გამოართვეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 21.500 აშშ დოლარი.

შეთანხმების მიხედვით, 11.500 აშშ დოლარი განკუთვნილი იყო გულუას ბაღის იჯარით გადაცემისთვის, ხოლო 10.000 აშშ დოლარი – რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის იჯარით გადაცემისთვის.

2018 წლის მაისში იმავე მოქალაქემ 10.000 აშშ დოლარი პირადად გადასცა გია გულორდავას, ხოლო 11.500 აშშ დოლარი მათთვის გადასაცემად 2018 წლის 7 ივნისს ჩარიცხა გია გულორდავას მიერ მითითებული პიროვნების ხ.ბ-ს სახელზე, საბანკო გზავნილის სახით, რასაც საბოლოოდ დაეუფლნენ გია გულორდავა და ლაშა გოგია.

# სადახლოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, არადეკლარირებული ოქროს, საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სომხეთის მოქალაქის ე.ა.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 6,844.44 ლარის ღირებულების, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (წონა 109.68 გრამი) აღმოაჩინეს.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 6,844.44 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# ნარკომოვაჭრეობაში ბრალდებულ ცოლ-ქმარს 8 წელი მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულები, ცოლ-ქმარი მ.ა. და ლ.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ლ.ს.-მ და მ.ა.-მ უკანონოდ შეიძინეს და ინახავდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს, ლ.ს. – 0,94486 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, ხოლო მისი მეუღლე მ.ა. – 2,79087 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერებები ლ.ს.-სგან და მ.ა. -სგან სამართალდამცველებმა 2018 წლის 4 თებერვალს ქ.ბათუმში ამოიღეს.

მ.ა.-ს და ლ.ს.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ვანო მერაბიშვილი: „მე შეწყალება არ მჭირდება“

მე შეწყალება არ მჭირდება, – ამის შესახებ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს.

მისივე განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში დამარცხების შემდეგ, „ქართულ ოცნებაში“ სრული ისტერიკა დაიწყო და ამომრჩევლებს აშინებენ, რომ პრეზიდენტი ვაშაძე შეიწყალებს პატიმრებს.

„არჩევნების პირველ ტურში დამარცხების შემდეგ, „ქართულ ოცნებაში“ სრული ისტერიკა დაიწყო, რადგან ხალხისთვის სათქმელი არაფერი აქვთ, ამომრჩევლებს აშინებენ იმით, რომ პრეზიდენტი ვაშაძე შეიწყალებს პატიმრებს და შემდეგ ქვეყანაში არეულობა დაიწყება.

პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნების“ მარცხი გარდაუვალია. ისტერიკა და შიშის დემონსტრირება კიდევ უფრო აუარესებს მათ ისედაც მძიმე მდგომარეობას.

მე შეწყალება არ მჭირდება. სტრასბურგის სასამართლომ ორჯერ მაღიარა პოლიტპატიმრად, ჯერ პირველმა ინსტანციამ და შემდეგ დიდმა პალატამ. მე ვარ ერთადერთი პატიმარი ევროპაში, რომელთან დაკავშირებითაც სტრასბურგმა აღიარა მეთვრამეტე მუხლის დარღვევა.

დეკემბერში უნდა გაიმართოს მინისტრთა კომიტეტის სხდომა, რომელმაც უნდა იმსჯელოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

დღეს საპყრობილეებში არის ბევრი უსამართლოდ დაჩაგრული პატრიოტი, რომელიც „ქართული ოცნებისა“ თუ რუსული სპეცსამსახურების სურვილით ზის ციხეში. მე ვაპირებ, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ისინი რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს“, – წერს ვანო მერაბიშვილი.



# ადვოკატი: „მორჩაძე კალანდიების ოჯახისთვის თანხის გადაცემას ადასტურებს“

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძე დაიკითხა. სხდომა დახურული იყო.

სხდომის შემდეგ მხარეებმა განაცხადეს, რომ მორჩაძემ კალანდიების ოჯახისთვის თანხის გადაცემა დაადასტურა, თუმცა ამბობს, რომ თანხა არა მოწმის მოსყიდვის, არამედ ოჯახის დასახმარებლად იყო განკუთვნილი.

გამოძიების ინფორმაციით, მერაბ მორჩაძე კალანდიების ოჯახის ახლობელია, მ.კ.-ს თანხის სანაცვლოდ ჩვენების შეცვლა სთხოვა და მასზე ზეწოლაც მოახდინა. ბრალდებული წარდგენილ ბრალს არ აღიარებს, თუმცა კალანდიების ოჯახთან კავშირს არ უარყოფს.

მანამდე სასამართლოში მოწმის სახით გამოკითხულმა ლუკა კალანდიამ დაადასტურა თანხის გადაცემის ფაქტი.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე მერაბ მორჩაძე 8 ივნისს დააკავეს.



# არასრულწლოვანმა სასურსათო მაღაზია გაქურდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული დ.ბ. ქურდობის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მხილებულმა, თანამზრახველებთან ერთად, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე სასურსათო მაღაზია გაქურდა, საიდანაც, დაახლოებით, 3.000 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის პროდუქტები და 500 ლარამდე თანხა წაიღო.

სამართალდამცველებმა დ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ამხილეს. პოლიციამ ნაქურდალი პროდუქტები ნივთმტკიცებად ამოიღო. მხილებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ქურდობაში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით ტარდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

# ცოლისძმას თოფით ორივე ფეხი დაუცხრილა და მოკლა

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის ძმის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ბრალდებული გ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 12 აპრილს ღამის საათებში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გ.ა.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მეუღლის ძმას – დ.ვ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით, ორივე ფეხის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები. მიუხედავად აღმოჩენილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა, დ.ვ.-ს გადარჩენა ვერ მოხერხდა და იგი გარდაიცვალა.



სამართალდამცველებმა გ.ა. 2018 წლის 13 აპრილს „წითელი ხიდის“ სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მაშინ დააკავეს, როდესაც ის საქართველოს საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა.

ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) წარუდგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# მერკელი: „დონბასში არჩევნების ჩატარება მინსკის შეთანხმებების დარღვევაა!“



ანგელა მერკელი კიევში პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს შეხვდა. მოლაპარაკებების შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა. უკრაინელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, დონბასში შექმნილ მდგომარეობას როგორ შეაფასებთო, მერკელმა მიუგო, რომ მინსკის პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია. კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ ოკუპანტების მიერ „არჩევნების“ დანიშვნა ყოვლად დაუშვებელი ქმედებაა.

— დღევანდელ ვითარებაში დონბასში არჩევნების ჩატარება მინსკის სამშვიდობო პროცესის დარღვევაა, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

მერკელმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები აუცილებლად გაგრძელდება. ევროკავშირი, უწინარეს ყოვლისა კი გერმანია, ამას მხარს უჭერენ.

— რუსეთმა სხვა გზა არ დაგვიტოვა, გარდა იმისა, რომ მასზე ზეწოლა გავაძლიეროთ! — თქვა კანცლერმა.

მერკელი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობასა და უკრაინისთვის სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციების დატოვების პრობლემასაც შეეხო. მან თქვა, რომ უკრაინამ სატრანზიტო ფუნქციები უნდა შეინარჩუნოს.

— ჩვენ მზად ვართ, უკრაინას სათანადო გარანტიები მივცეთ, — ამბობს მერკელი.

უკრაინელი ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ გერმანიასთან და, შესაბამისად, ევროპასთან ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გარღვევის მიღწევა მოხერხდა. რამდენიმე წლის წინ მერკელს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების ან უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების თაობაზე გაგონებაც კი არ სურდა. დღეს მერკელი არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში უკრაინა შესაძლოა ევროკავშირის წევრი გახდეს, თუმცა კონკრეტულ ვადას არ ასახელებს.

— პოროშენკოს მოღვაწეობის უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა მოხერხდა. სამწუხაროდ, საშინაო პოლიტიკა მთლიანად ჩავარდნილია, — აცხადებს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ბუნებრივია, ეს უკრაინულ სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის. აუცილებელია ცვლილებები, რომლებიც ალბათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდება.

# ტრამპი ჩინეთის ლიდერს დაუკავშირდა





აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ტელეფონით ჩინეთის ლიდერ სი ცზინპინს დაუკავშირდა.

განხილულ იქნა აშშ-ჩინეთის ურთიერთობები, აგრეთვე ჩრდილოეთ კორეის პრობლემა.

— საუბრით კმაყოფილი ვარ, — განუცხადა ტრამპმა ჟურნალისტებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩინეთის ლიდერს დიდი ოცეულის სამიტზე შეხვდება.



# ლავროვი: „რუსეთსა და აშშ-ს შორის სულ უფრო მეტი უთანხმოება გროვდება“

— რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული სტაბილურობის სფეროში სულ უფრო და უფრო მეტი უთანხმოება გროვდება, — ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

მისივე თქმით, დაუშვებელია, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის უთანხმოების დარეგულირების არხები ამოქმედებული არ არის.

— წამყვან ბირთვულ ზესახელმწიფოებს შორის უთანხმოებები გროვდება სტრატეგიული სტაბილურობის სფეროში. ამ უთანხმოებების დარეგულირების არხები ამოქმედებული არ არის, რაც დაუშვებელ სიტუაციას ქმნის უსაფრთხოების გლობალური ინტერესების თვალსაზრისით, — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

სერგეი ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი ამერიკელი პარტნიორების წინაშე მუდმივად აყენებს დიალოგის საჭიროების საკითხს.

— ჩვენ ამას ობამას ადმინისტრაციის დროს ვაკეთებდით და ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის პირველივე დღიდან ვაკეთებთ, — დასძინა მან.

# პომპეო: „აშშ-ის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ხისტი იქნება!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები გამწვავდება. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს რუსეთის გამო ხდება.

— სამწუხაროდ, მოსკოვმა დასავლეთთან პარტნიორობას მასთან კონფრონტაცია ამჯობინა, — თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს ძლიერი ეკონომიკა არ აქვს. სამაგიეროდ, მოსკოვს უდიდესი ბირთვული არსენალი გააჩნია, რასაც დემოკრატიულ სამყაროზე შანტაჟისთვის იყენებს.

— პრეზიდენტ ტრამპის პოზიცია მოსკოვის მიმართ ხისტი იქნება. ტრამპმა უკვე გააკეთა ის, რასაც ვერც ერთი მისი წინამორბედი ვერ ბედავდა! მომავალშიც აშშ-ის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ხისტი იქნება, — ამბობს პომპეო.

# ნეთანიაჰუ: „ის, რაც საუდის არაბეთის საკონსულოში მოხდა, შემზარავია“

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ საუდელი ჟურნალისტის ჯამალ ხაშოგის მკვლელობის ფაქტს გამოეხმაურა.

— ის, რაც სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოში მოხდა, შემზარავია და ამას სათანადო პასუხი უნდა გაეცეს. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოსა და რეგიონისთვის, რომ საუდის არაბეთში ვითარება სტაბილური დარჩეს, — განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

ბენიამინ ნეთანიაჰუმ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანი გაცილებით დიდი პრობლემაა და მას არ უნდა მიეცეს საზიანო ქმედებების განხორციელების საშუალება.

შეგახსენებთ, რომ წარმოშობით საუდელი ჟურნალისტი ჯამალ ხაშოგი ერ-რიადის მიმართ კრიტიკული განცხადებებით იყო ცნობილი. 2017 წელს მან სამშობლო დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ის სტამბოლში საუდის არაბეთის გენერალურ საკონსულოში მივიდა იმის შემდეგ, რაც საკონსულოს თანამშრომლები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ და გარკვეული დოკუმენტების ხელმოწერის მიზნით საკონსულოში მისვლა სთხოვეს.

19 ოქტომბერს საუდის არაბეთის გენერალურმა პროკურორმა საუდ ალ-მუაჯიბმა განაცხადა, რომ ხაშოგი საუდის არაბეთის საკონსულოში მომხდარი ჩხუბის შედეგად გარდაიცვალა. ამ საქმეზე უკვე დაკავებულია საუდის არაბეთის 18 მოქალაქე.

# ესპანეთის პროკურატურამ კატალონიელი სეპარატისტებისთვის 25 წლამდე ციხე მოითხოვა



ესპანეთის პროკურატურამ კატალონიის სეპარატისტულ პროცესთან დაკავშირებული პოლიტიკოსებისთვის 25 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

პროკურატურა კატალონიის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილე ორიოლ ჟუნკერასსა და კატალონიის მთავრობისა და პარლამენტის ყოფილ წევრებს ბრალად სდებს ბუნტის წაქეზებასა და ფულის გაფლანგვას.

კერძოდ, კატალონიის მთავრობის 5 ყოფილი მრჩევლისთვის ესპანეთის პროკურატურა 16 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს; ორგანიზაცია კატალონიის ეროვნული ასამბლეის ხელმძღვანელისთვის ჟორდი სანჩესისთვის, ჟორდი კუიშარტასთვის, კატალონიის პარლამენტის ყოფილი სპიკერისთვის კარმე ფორკადელისთვის პროკურატურა 17 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს, ხოლო კატალონიის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილე ორიოლ ჟუნკერასს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 1 ოქტომბერს კატალონიაში რეფერენდუმი ჩატარდა ესპანეთის შემადგენლობიდან გამოსვლის თაობაზე. ოფიციალურმა მადრიდმა აღნიშნული რეფერენდუმი არალეგიტიმურად ცნო და უარი განაცხადა მისი შედეგების აღიარებაზე.

2017 წლის 27 ოქტომბერს კატალონიის პარლამენტმა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ რეზოლუცია დაამტკიცა, რის შემდეგაც აღნიშნულ პროცესში მონაწილე პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

## სტატისტიკა, ფსონები

# არსენალი და ლივერპული ურთიერთობას ლონდონში გაარკვევენ

ეს უქმეები შედარებით მშვიდია საფეხბურთო სამყაროში. თუმცა, როგორც პრემიერლიგას სჩვევია, ერთი განსაკუთრებული მატჩი მაინც არის – ბოლო დროს კარგ ფორმაში მყოფი არსენალი ლონდონში დაუხვდება ლივერპულს.

არის კიდევ რამდენიმე საინტერესო თამაში სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა, უფრო სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე და არა ისტორიულად.



**ინგლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.11 | ბორნმუთი-მანჩესტერი | 3.5 | 3.7 | 2.0 |
| 03.11 | ევერტონი-ბრაიტონი | 1.61 | 3.9 | 5.8 |
| 03.11 | ნიუკასლი-უოტფორდი | 2.62 | 3.2 | 2.8 |
| 03.11 | კარდიფი-ლესტერი | 3.5 | 3.25 | 2.2 |
| 03.11 | ვესტ ჰემი-ბარნლი | 1.78 | 3.6 | 4.75 |
| 03.11 | არსენალი-ლივერპული | 3.4 | 3.75 | 2.05 |
| 03.11 | ვულვზი-ტოტენჰემი | 3.2 | 3.4 | 2.25 |
| 04.11 | სიტი-საუთჰემპტონი | 1.11 | 20.0 | 21.0 |
| 04.11 | ჩელსი-კრ.პალასი | 1.25 | 6.5 | 11.0 |
| 05.11 | ჰადერსფილდი-ფულემი | 2.3 | 3.4 | 3.1 |

**ბორნმუთი-მანჩესტერი**

ბორნმუთი: **ტრავმ**-არავინ

მანჩესტერი: **ტრავმ**-ალექსის სანჩესი, მარუან ფელაინი

**ევერტონი-ბრაიტონი**

ევერტონი: **ტრავმ**-ჯეიმს მაკკარტნი

ბრაიტონი: **ტრავმ**-დევი პროპერი, პასკალ გროსი

**ნიუკასლი-უოტფორდი**

ნიუკასლი: **ტრავმ**-კირონ კლარკი

უოტფორდი: **ტრავმ**-ნათან ჩალობა, დარილ იანმაატი

**კარდიფი-ლესტერი**

კარდიფი: **ტრავმ**-ჯო რალსი, დანიელ ვარდი, ლი პელტიერი, ნათან მენდეს-ლიანგი

ლესტერი: **ტრავმ**-არავინ

**ვესტ ჰემი-ბარნლი**

ვესტ ჰემი: **ტრავმ**-ლუკას პერესი, პედრო ობიანგი, ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

ბარნლი: **ტრავმ**-სტივენ ვარდი

**არსენალი-ლივერპული**

არსენალი: **ტრავმ**-ლორენ კოშიელნი

ლივერპული: **ტრავმ**-ჯორდან ჰენდერსონი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი

**ვულვზი-ტოტენჰემი**

ვულვზი: **ტრავმ**-არავინ

ტოტენჰემი: **ტრავმ**-იან ვერტოგენი, დანი როუზი

**სიტი-საუთჰემპტონი**

სიტი: **ტრავმ**-ილკაი გუნდოგანი

საუთჰემპტონი: **ტრავმ**-იან ბედრანეკი

**ჩელსი-კრ.პალასი**

ჩელსი: **ტრავმ**-არავინ

კრ.პალასი: **ტრავმ**-ჯოელ ვარდი, კრისტიან ბენტეკე

**ჰადერსფილდი-ფულემი**

ჰადერსფილდი: **ტრავმ**-რაჯივ ვან ლა პარა

ფულემი: **ტრავმ**-ჯო ბრაიანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 8 | 2 | 0 | 27-3 | 26 |
| 2.ლივერპული | 10 | 8 | 2 | 0 | 20-4 | 26 |
| 3.ჩელსი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-7 | 24 |
| 4.არსენალი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-13 | 22 |
| 5.ტოტენჰემი | 10 | 7 | 0 | 3 | 16-8 | 21 |
| 6.ბორნმუთი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-12 | 20 |
| 7.უოტფორდი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-17 | 17 |
| 9.ევერტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-14 | 15 |
| 10.ვულვზი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-9 | 15 |
| 11.ბრაიტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 11-13 | 14 |
| 12.ლესტერი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-16 | 13 |
| 13.ვესტ ჰემი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-15 | 8 |
| 14.კრ.პალასი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-13 | 8 |
| 15.ბარნლი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-21 | 8 |
| 16.საუთჰემპტონი | 10 | 1 | 4 | 5 | 6-14 | 7 |
| 17.კარდიფი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-23 | 5 |
| 18.ფულემი | 10 | 1 | 2 | 7 | 11-28 | 5 |
| 19.ნიუკასლი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-14 | 3 |
| 20.ჰადერსფილდი | 10 | 0 | 3 | 7 | 4-21 | 3 |

**ესპანეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.11 | ლეგანესი-ატლეტიკო | 5.8 | 3.4 | 1.73 |
| 03.11 | რეალი-ვალიადოლიდი | 1.2 | 7.0 | 13.0 |
| 03.11 | ვალენსია-ხირონა | 1.52 | 4.2 | 6.5 |
| 03.11 | რაიო-ბარსელონა | 9.0 | 5.8 | 1.3 |
| 04.11 | ეიბარი-ალავესი | 2.1 | 3.25 | 3.75 |
| 04.11 | ვილიარეალი-ლევანტე | 1.63 | 4.0 | 5.25 |
| 04.11 | უესკა-ხეტაფე | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 04.11 | სოსიედადი-სევილია | 2.8 | 3.6 | 2.4 |
| 04.11 | ბეტისი-სელტა | 1.85 | 3.8 | 4.0 |
| 05.11 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.0 | 3.4 | 4.0 |

**ლეგანესი-ატლეტიკო**

ლეგანესი: **ტრავმ**-ეზეკიელ მუნიოსი

ატლეტიკო: **ტრავმ**-ხუანფრანი, ხოსე ხიმენესი

**რეალი-ვალიადოლიდი**

რეალი: **ტრავმ**-დანი კარვახალი

ვალიადოლიდი: **ტრავმ**-არავინ

**ვალენსია-ხირონა**

ვალენსია: **ტრავმ**-დენის ჩერიშევი

ხირონა: **ტრავმ**-პორტუ, კრისტიან სტუანი

**რაიო-ბარსელონა**

რაიო: **ტრავმ**-ტიტო

ბარსელონა: **ტრავმ**-ლეო მესი, ტომას ვერმალენი, სამუელ უმტიტი

**ეიბარი-ალავესი**

ეიბარი: **ტრავმ**-გონსალო ესკალანტე

ალავესი: **ტრავმ**-ადრიან მარინი

**ვილიარეალი-ლევანტე**

ვილიარეალი: **ტრავმ**-კარლოს ბაკა

ლევანტე: **ტრავმ**-ნიკოლა ვუკჩევიჩი

**უესკა-ხეტაფე**

უესკა: **ტრავმ**-გონსალო მელერო, ლუიზინიო

ხეტაფე: **ტრავმ**-მარკელ ბერგარა, ფრანსისკო პორტილიო

**სოსიედადი-სევილია**

სოსიედადი: **ტრავმ**-მიკელ იოარზაბი, ხოსება ზალდუა, მიკელ მერინო

სევილია: **ტრავმ**-მაქსიმ გონალოსი

**ბეტისი-სელტა**

ბეტისი: **ტრავმ**-სერჯიო ლეონი, ხავი გარსია, ანდრეს გუარდადო

სელტა: **ტრავმ**-მატიას იენსენი

**ესპანიოლი-ბილბაო**

ესპანიოლი: **ტრავმ**-ერნან პერესი

ბილბაო: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 10 | 6 | 3 | 1 | 28:12 | 21 |
| 2.ალავესი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:9 | 20 |
| 3.სევილია | 10 | 6 | 1 | 3 | 22:13 | 19 |
| 4.ატლეტიკო | 10 | 5 | 4 | 1 | 12:5 | 19 |
| 5.ესპანიოლი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| 6.ვალიადოლიდი | 10 | 4 | 4 | 2 | 9:7 | 16 |
| 7.ლევანტე | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 16 |
| 8.ხეტაფე | 10 | 4 | 3 | 3 | 10:8 | 15 |
| 9.რეალი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 14 |
| 10.სელტა | 10 | 3 | 4 | 3 | 17:13 | 13 |
| 11.ხირონა | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| 12.სოსიედადი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| 13.ბეტისი | 10 | 3 | 3 | 4 | 5:9 | 12 |
| 14.ვალენსია | 10 | 1 | 8 | 1 | 7:8 | 11 |
| 15.ეიბარი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:17 | 11 |
| 16.ბილბაო | 10 | 1 | 7 | 2 | 11:15 | 10 |
| 17.ვილიარეალი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:10 | 9 |
| 18.ლეგანესი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:15 | 8 |
| 19.რაიო | 10 | 1 | 3 | 6 | 10:20 | 6 |
| 20.უესკა | 10 | 1 | 2 | 7 | 8:22 | 5 |

**გერმანია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.11 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1.08 | 10.0 | 23.0 |
| 03.11 | აუგსბურგი-ნიურნბერგი | 1.57 | 4.33 | 5.25 |
| 03.11 | შალკე-ჰანოვერი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 03.11 | ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 2.1 | 3.8 | 3.1 |
| 03.11 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 3.75 | 3.7 | 1.91 |
| 03.11 | ჰერტა-ლაიპციგი | 3.3 | 3.4 | 2.2 |
| 04.11 | გლადბახი-ფორტუნა | 1.38 | 5.25 | 5.0 |
| 04.11 | მაინცი-ვერდერი | 2.87 | 3.4 | 2.4 |

**ბაიერნი-ფრაიბურგი**

ბაიერნი: **ტრავმ**-არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო, კინგსლი კომანი

ფრაიბურგი: **ტრავმ**-ჯერომ გონდორფი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

**აუგსბურგი-ნიურნბერგი**

აუგსბურგი: **ტრავმ**-ჯი დონგ ვონი

ნიურნბერგი: **ტრავმ**-მაიკლ იშაკი, ედუარდ ლოუვენი, პატრიკ ერასი

**შალკე-ჰანოვერი**

შალკე: **ტრავმ**-არავინ

ჰანოვერი: **ტრავმ**-ფელიპე, ლინტონ მაინა

**ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი**

ლევერკუზენი: **ტრავმ**-ჩარლზ არანგისი

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ**-არავინ

**ვოლფსბურგი-დორტმუნდი**

ვოლფსბურგი: **ტრავმ**-ჯოშუა გულავოგი, ადმირ მეჰმედი, იგნასიო კამაჩო, ფელიქს უდოკაი

დორტმუნდი: **ტრავმ**-მანუელ აკანჯი, მარსელ შმელცერი

**ჰერტა-ლაიპციგი**

ჰერტა: **ტრავმ**-პალ დარდაი, ლუკას კლუნტერი, მარკო გრუიჩი, ჯორდან ტორუნარიგა

ლაიპციგი: **ტრავმ**-ემილ ფპრსბერგი

**გლადბახი-ფორტუნა**

გლადბახი: **ტრავმ**-რაფაელი

ფორტუნა: **ტრავმ**-ანდრე ჰოფმანი

**მაინცი-ვერდერი**

მაინცი: **ტრავმ**-ბოტე ბაკუ, რობინ ქუაისონი, ნიკო ბუნგერტი, გერიტ ჰოლტმანი

ვერდერი: **ტრავმ**-ფილიპ ბაგფრეიდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 9 | 6 | 3 | 0 | 29:10 | 21 |
| 2.ბაიერნი | 9 | 6 | 1 | 2 | 17:10 | 19 |
| 3.გლადბახი | 9 | 5 | 2 | 2 | 20:12 | 17 |
| 4.ვერდერი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:14 | 17 |
| 5.ლაიპციგი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:9 | 16 |
| 6.ჰერტა | 9 | 4 | 4 | 1 | 15:10 | 16 |
| 7.აინტრახტი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:13 | 14 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 9 | 4 | 1 | 4 | 18:13 | 13 |
| 9.აუგბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:14 | 12 |
| 10.ვოლფსბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| 11.ფრაიბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:15 | 12 |
| 12.ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 15:17 | 11 |
| 13.მაინცი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:10 | 9 |
| 14.ნიურბერგი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:20 | 9 |
| 15.შალკე | 9 | 2 | 1 | 6 | 5:11 | 7 |
| 16.ჰანოვერი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:18 | 6 |
| 17.ფორტუნა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:21 | 5 |
| 18.შტუტგარტი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:21 | 5 |

**იტალია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.11 | ინტერი-ჯენოა | 1.42 | 4.75 | 7.5 |
| 03.11 | ფიორენტინა-რომა | 2.7 | 3.5 | 2.55 |
| 03.11 | იუვენტუსი-კალიარი | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 04.11 | ლაციო-სპალი | 1.35 | 5.0 | 9.0 |
| 04.11 | პარმა-ფროზინონე | 1.85 | 3.3 | 4.2 |
| 04.11 | კიევო-სასუოლო | 3.6 | 3.4 | 2.1 |
| 04.11 | სამპდორია-ტორინო | 2.6 | 3.25 | 2.8 |
| 04.11 | ბოლონია-ატალანტა | 4.6 | 3.7 | 1.78 |
| 04.11 | უდინეზე-მილანი | 4.0 | 3.6 | 1.91 |

**ინტერი-ჯენოა**

ინტერი: **ტრავმ**-რაჯა ნაინგოლანი

ჯენოა: **ტრავმ**-ფედერიკო მარკეტი, ანდრეა ფავილი, ნიკოლას სპოლი, ჯანლუკა ლაპადულა

**ფიორენტინა-რომა**

ფიორენტინა: **ტრავმ**-მარტინ გრაციარი

რომა: **ტრავმ**-დიეგო პეროტი

**იუვენტუსი-კალიარი**

იუვენტუსი: **ტრავმ**-მარიო მანჯუკიჩი, ემრე ჯანი, სამი ხედირა

კალიარი: **ტრავმ**-რაგნარ კლავანი

**ლაციო-სპალი**

ლაციო: **ტრავმ**-დუშან ბასტა, ლუკას ლეივა, ალესანდრო როსი

სპალი: **ტრავმ**-ვანია მილინკოვიჩ-სავიჩი, ფეედრიკო ვივიანი, ლაზარ ნიკოლიჩი

**პარმა-ფროზინონე**

პარმა: **ტრავმ**-ემანუელ კალაიო, ანდრეა დი მაჯიო, ალბერტო გრასი

ფროზინონე: **ტრავმ**-კრისტიან მოლინარო, ემილ ჰალფრედსონი, სტიპე პერიცა

**კიევო-სასუოლო**

კიევო: **ტრავმ**-ფედერიკო ბარბა, ფილიპ ჯორჯევიჩი, ნენად ტომოვიჩი

სასუოლო: **ტრავმ**-იენს ოდგაარდი

**სამპდორია-ტორინო**

სამპდორია: **ტრავმ**-ოგნიენ სტიჯეროვიჩი

ტორინო: **ტრავმ**-კრისტიან ანსალდი

**ბოლონია-ატალანტა**

ბოლონია: **ტრავმ**-დანილო

ატალანტა: **ტრავმ**-მარკო ტუმინელო

**უდინეზე-მილანი**

უდინეზე: **ტრავმ**-მამადუ კულიბალი, სვანტე ინგელსონი, ემანუელ ბადუ

მილანი: **ტრავმ**-ჰაკან ჩალჰანოღლუ, ალენ ჰალილოვიჩი, ანდრეა კონტი, რიკარდო მონტოლივო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 9 | 1 | 0 | 21:7 | 28 |
| 2.ინტერი | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| 3.ნაპოლი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:11 | 22 |
| 4.მილანი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| 5.ლაციო | 10 | 6 | 0 | 4 | 13:12 | 18 |
| 6.ფიორენტინა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:8 | 15 |
| 7.სამპდორია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:7 | 15 |
| 8.რომა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| 9.სასუოლო | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 15 |
| 10.ტორინო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:12 | 14 |
| 11.ჯენოა | 10 | 4 | 2 | 4 | 16:19 | 14 |
| 12.კალიარი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:11 | 13 |
| 13.პარმა | 10 | 4 | 1 | 5 | 10:14 | 13 |
| 14.ატალანტა | 10 | 3 | 3 | 4 | 17:12 | 12 |
| 15.სპალი | 10 | 4 | 0 | 6 | 8:13 | 12 |
| 16.უდინეზე | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| 17.ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:14 | 9 |
| 18.ემპოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 9:15 | 6 |
| 19.ფროზინონე | 10 | 1 | 2 | 7 | 9:24 | 5 |
| 20.კიევო | 10 | 0 | 2 | 8 | 8:26 | -1 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**საფრანგეთი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03.11 | ლიონი-ბორდო | 1.42 | 4.8 | 7.0 |
| 03.11 | რეიმსი-მონაკო | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 03.11 | კაენი-რენი | 3.5 | 3.1 | 2.1 |
| 03.11 | დიჟონი-ნიმი | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 03.11 | ნიცა-ამიენი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 03.11 | სტრასბური-ტულუზა | 1.91 | 3.6 | 3.8 |
| 04.11 | ნანტი-გენგამი | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 04.11 | სტ.ეტიენი-ანჟე | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 04.11 | მონპელიე-მარსელი | 2.87 | 3.25 | 2.5 |

**ლიონი-ბორდო**

ლიონი: **ტრავმ**-მაქსველ კორნე, ლეო დუბო, ნაბილ ფეკირი

ბორდო: **ტრავმ**-ალექსანდერ მენდი

**რეიმსი-მონაკო**

რეიმსი: **ტრავმ**-არავინ

მონაკო: **ტრავმ**-სამუელ გრანდსირი, რადამელ ფალკაო, დანიელ სუბაშიჩი, ანდრეა რაგი, კევინ ნდორამი, პიეტრო პელეგრინი, რონი ლოპესი, სტივენ იოვეტიჩი

**კაენი-რენი**

კაენი: **ტრავმ**-ისმაილ დიომანდე, რომან გენევო

რენი: **ტრავმ**-არავინ

**დიჟონი-ნიმი**

დიჟონი: **ტრავმ**-იოან გურკუფი, ჟულიო ტავარეში, ფრედერიკ სამარიტანო

ნიმი: **ტრავმ**-მუსტაფა დიალო, ერვე ლიბოი

**ნიცა-ამიენი**

ნიცა: **ტრავმ**-პიერ ლეს-მელოუ, ჟან-ვიქტორ მაკენგო

ამიენი: **ტრავმ**-კვენტინ კორენტე, ბონგანი ზუნგუ, სტივენ მენდოზა

**სტრასბური-ტულუზა**

სტრასბური: **ტრავმ**-ანტუან გოსლავეში, იდრის საადი

ტულუზა: **ტრავმ**-იბრაჰიმ სანგარე, აარონ ლეუა ისეკა, იაია სანოგო

**ნანტი-გენგამი**

ნანტი: **ტრავმ**-არავინ

გენგამი: **ტრავმ**-ლუკას დეუ, მარკუს ტურამი, ნოლან როუ

**სტ.ეტიენი-ანჟე**

სტ.ეტიენი: **ტრავმ**-რომან ჰამუმა, გაბრიელ სილვა

ანჟე: **ტრავმ**-არავინ

**მონპელიე-მარსელი**

მონპელიე: **ტრავმ**-კიგან დოლი

მარსელი: **ტრავმ**-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 11 | 0 | 0 | 39-6 | 33 |
| 2.ლილი | 11 | 8 | 1 | 2 | 20-8 | 25 |
| 3.მონპელიე | 11 | 6 | 4 | 1 | 17-7 | 22 |
| 4.ლიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 5.მარსელი | 11 | 6 | 1 | 4 | 22-18 | 19 |
| 6.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-14 | 17 |
| 7.სტრასბური | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 8.ბორდო | 11 | 4 | 2 | 5 | 13-14 | 14 |
| 9.რეიმსი | 11 | 3 | 5 | 3 | 7-10 | 14 |
| 10.ნიცა | 11 | 4 | 2 | 5 | 8-14 | 14 |
| 11.ტულუზა | 11 | 3 | 4 | 4 | 10-19 | 13 |
| 12.ანჟე | 11 | 3 | 3 | 5 | 13-15 | 12 |
| 13.ნანტი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-17 | 12 |
| 14.რენი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-17 | 12 |
| 15.კაენი | 11 | 2 | 5 | 4 | 10-14 | 11 |
| 16.ნიმი | 11 | 2 | 5 | 4 | 14-19 | 11 |
| 17.დიჟონი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-17 | 11 |
| 18.ამიენი | 11 | 3 | 1 | 7 | 12-20 | 10 |
| 19.მონაკო | 11 | 1 | 4 | 6 | 12-17 | 7 |
| 20.გენგამი | 11 | 1 | 4 | 6 | 7-19 | 7 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ვიეტნამელს ყურიდან ჭრიჭინა გამოუღეს



ვიეტნამის ქალაქ ჰაიზიონგში ექიმებმა მამაკაცს ყურიდან ცოცხალი ჭრიჭინა გამოუღეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მამაკაცმა ქალაქის საავადმყოფოს ყურში ტკივილის ჩივილით მიმართა. ენდოსკოპიამ აჩვენა, რომ მისი ყურის შიგნით მწერი იმყოფებოდა. ის მოძრაობდა, რაც ვიეტნამელში უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევდა.

ჭრიჭინა ყურიდან სამედიცინო ინსტრუმენტების დახმარებით ამოიყვანეს. მოგვიანებით ენდოსკოპის დახმარებით გადაღებული ვიდეო ინტერნეტში გამოქვეყნდა.

ჭრიჭინები სოროებში ბინადრობენ და სიგრძეში ხუთ სანტიმეტრამდე იზრდებიან. ვიეტნამში ამ მწერებს ზეთში წვავენ და მსუბუქი კერძის სახით მიირთმევენ. ჭრიჭინებს საკვებისთვის სპეციალურ ფერმებში ამრავლებენ.

## ასტროპროგნოზი

### 3 ნოემბრისათვის



**ვერძი** — მეგობრებთან ერთად დროს მხიარულად გაატარებთ. საღამოს საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. მცირედი კონფლიქტი გელით ახლობელთან. **კურო** — თქვენს გეგმებს ნურავის გაანდობთ. იზრუნეთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. **ტყუპები** — შემოქმედებითი პოტენციალი ქვეითდება. დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. **კირჩხიბი** — ემოციურად არასტაბილური დღეა. თავისუფლებას ნუ შეიზღუდავთ. სხვის საქმეში ჩარევა არასასურველი შედეგით დამთავრდება. **ლომი** — ეცადეთ, საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინოთ. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ. **ქალწული** — ჰარმონიული დღეა. იზრუნეთ საკუთარ თავზე. დაისვენეთ და გაერთეთ. **სასწორი** — ინტიმურ სფეროში იმედგაცრუება გელით. საპირისპირო სქესის მიერ გამოჩენილი ყურადღება თქვენ მიმართ ილუზიაა. **ღრიანკალი** — გაღიზიანებული ხართ. არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ ემოციებს. გონიერება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** — იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. აჩქარებით საქმეს გააფუჭებთ. **თხის რქა** — რადიკალურ გადაწყვეტილებებს დღეს ნუ მიიღებთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობაში ნუ გარისკავთ. **მერწყული** — შემოქმედებითი და სოციალური კონტაქტებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. სხვისი აზრის გათვალისწინებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **თევზები** — ახალი იდეების ხორცშესხმას იდეალურად შეძლებთ. რომანტიკული შეხვედრა ემოციურ სტაბილურობას შეგიქმნით.

### 4 ნოემბრისათვის

**ვერძი** — ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **კურო** — სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. სტუმრების მიღება სხვა დროისათვის გადადეთ. **ტყუპები** — ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. პროვოკაციული დღეა. **კირჩხიბი** — კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე აღკვეთეთ. გაერიდეთ ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. **ლომი** — ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლებათ. ეცადეთ, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **ქალწული** — მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. **სასწორი** — ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განიხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** — ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** — სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლობელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედგაცრუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მერწყული** — წვრილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **თევზები** — შემოსავალი მოულოდნელად გეზრდებათ. მეგობარი დახმარების ხელს გიწვდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## დემონის ფორმაში გამოწყობილი გოგონა რამდენიმე დღით დაბრმავდა



კანადაში 11 წლის გოგონა უხარისხო ფერადი კონტაქტური ლინზების გამო ოთხი დღით დაბრმავდა. ამის შესახებ გოგონას დედა ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის ჟურნალისტებს ესაუბრა, რათა ამით ჰელოუინის წინ სხვა მშობლებიც გაეფრთხილებინა.

კვებეკის პროვინციის ქალაქ ბლენვილის მკვიდრი ემილი ტურკოტი ერთი წლის წინ დემონის ფორმაში გამოეწყო, რათა მეზობლების სახლები შემოევლო და კანფეტები მოეთხოვა. მისი კოსტიუმის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს ფერადი ლინზები წარმოადგენდა. ის გოგონას სულ რამდენიმე საათი ეკეთა. მეორე დღეს დილით გოგონას თვალების ტკივილისგან გამოეღვიძა. ის ყვიროდა, რომ თვალები ეწვოდა და მათ გახელას ვერ ახერხებდა. შეშფოთებულმა დედამ ბავშვი მაშინვე ექიმთან წაიყვანა.

ექიმებმა გოგონას რქოვანას დაზიანება და თვალის გარშემო კანის ანთება დაუდგინეს.

ოთხი დღის განმავლობაში გოგონა ვერაფერს ხედავდა. მას ეშინოდა, რომ სამუდამოდ დაბრმავდებოდა და სკოლაში ველარ ივლიდა. დროთა განმავლობაში მას მხედველობა დაუბრუნდა, თუმცა ის იძულებული იყო, კიდევ ერთი თვე ეტარებინა შავი სათვალეები. ექიმების თქმით, ოჯახს მათთვის დროულად რომ არ მიემართა, ემილის შესაძლოა მხედველობა სამუდამოდ დაეკარგა.

## დედას 31 წლის წინ გატაცებული შვილი დაუბრუნეს

კანადელი ქალბატონი 31 წლის განმავლობაში პირველად შეხვდა თავის შვილს, რომელიც 1987 წელს მოიტაცეს.

ჯერმეინ ალან მანი, რომელიც იმ დროს ერთი წლისა და ცხრა თვის იყო, მამასთან შეხვედრის შემდეგ გაუჩინარდა. ბავშვს კატადის ქალაქ ტორონტოს პოლიცია ეძებდა, შემდეგ სამძებრო ოპერაციაში ამერიკელის სამართალდამცავი ორგანოები ჩაერთვნენ. მრავალწლიანმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო.

როგორც გაირკვა, მამამ ბავშვი აშშ-ში წაიყვანა, სადაც ის ბავშვთან ერთად სხვისი სახელით იმალებოდა. მამაკაცმა მოახერხა ყალბი დაბადების მოწმობის შოვნა, რომლის თანახმადაც, ის და მისი შვილი ტეხასის შტატის მკვიდრნი იყვნენ. ბიჭს ეგონა, რომ დედამისი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ის ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო.



სიყალბე მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც მამაკაცმა გადაწყვიტა, ბინა სახელმწიფო დაფინანსებიდან მოეხსნა. თავდაპირველად სიყალბე წარდგენილ საბუთებში შენიშნეს, შემდეგ კი სისტემამ, რომელშიც ფოტოები გაატარეს, ამოიცნო კანადაში დაკარგული ბავშვის მამის სახე. მას სისხლის სამართლის სასჯელი და კანადაში ექსტრადიცია ელის საბუთების გაყალბებისთვის, სადაც უკვე ბავშვის გატაცების ბრალდებას წაუყენებენ.

შვილი, რომელიც ამჟამად 33 წლისაა, კანადიდან საგანგებოდ ჩასულ დედას შეხვდა.

— თუ რას ვგრძნობდი, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, — განაცხადა ქალმა, — მინდოდა მენახა და დავრწმუნებულიყავი, რომ ნამდვილად ის იყო. მე ვუთხარი: „ღმერთო ჩემო, ჩემო შვილო“.

მათ რამდენიმე საათი ისაუბრეს, ხოლო სამშობლოში დაბრუნების წინ დედამ შვილს სადილი გაუმზადა.

## ამერიკელმა ძაღლი დათვს პირიდან გამოგლიჯა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ოვიედოს მცხოვრები თავს დაესხა დათვს, რომელმაც მისი ძაღლი დაიჭირა და მისთვის წართმევა მოახერხა.

დედა დათვი თავის ორ დაახლოებით ერთი წლის ბელთან ერთად დევიდ ფულჯუმის სახლის მახლობლად დილით ადრე გამოჩნდა, როდესაც მამაკაცი სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ ცხოველები წავიდნენ და შესასვლელი კარი ოდნავ გამოაღო. ამით მისმა ძაღლმა, სახელად ალიგატორმა, ისარგებლა და გარეთ გავარდა, წამის შემდეგ კი ის უკვე დათვის ყბებში აღმოჩნდა.

ფულჯუმი ამტკიცებს, რომ ამის დანახვის შემდეგ ის მაღლა ახტა და ნახტომშივე ორივე ფეხი ჩასცხო მტაცებელს. მისი თქმით, ეს ინსტინქტური რეაქცია იყო.

— დათვი ადგილზე დატრიალდა, ჯერ უკანა ფეხებზე წამოიმართა, შემდეგ კი უკან გახტა და ისევ ოთხ ფეხზე დადგა, — ამტკიცებს ამერიკელი. ამის შემდეგ ცხოველი ბელებთან ერთად ტყისკენ გაიქცა, ხოლო მამაკაცმა თავის ძაღლს ხელი დასტაცა და სასწრაფოდ სახლს შეაფარა თავი.

ძაღლის გადასარჩენად სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია გახდა საჭირო. მასში ფულჯუმმა 5,7 ათასი დოლარი გადაიხადა. ძაღლის სამკურნალო ფული მას მისმა სამსახურის უფროსმა ასესხა.

## გრიზლის თავდასხმას გადარჩენილმა მონადირემ ვეგეტარიანელები განარისხა



ამერიკელი მონადირე, რომელიც დათვი-გრიზლის თავდასხმას გადაურჩა, ნადირობის მოწინააღმდეგე ვეგეტარიანელების თავდასხმის ობიექტად იქცა.

ბობ ლეგასი და გრეგ გიბსონი მტაცებელს მონტანის შტატის ქალაქ გარდინერის შემოგარენში გადაეყარნენ, როდესაც მშვილდ-ისრით ირემზე ნადირობდნენ. მონადირეები ხშირი ბუჩქნარიდან მდელოზე გამოვიდნენ და დაინახეს დედა დათვი, რომლის წონა 200 კილოგრამს აღემატებოდა და თითქმის უკვე მოზრდილი ბელი.

მათ მთელი ხმით დაიღრიალეს, რათა ცხოველები დაეფრთხოთ, მაგრამ დედა დათვი მაინც მათკენ გაქანდა.

— ვიფიქრე, რომ ის უბრალოდ გვაშინებდა, მაგრამ არ შეჩერებულა და მთელი ძალით დამეჯახა, თითქმის როგორც ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე, — განაცხადა ლეგასმა. დედა დათვმა მას კბილები მარჯვენა ხელში ჩაასო, ხოლო ტორი სახეში ჩასცხო.

გიბსონმა ცხოველების მოგერიება სპეციალური სპრეის დახმარებით მოახერხა, რომელიც დათვების დასაფრთხობადაა განკუთვნილი. მან სითხე თავადაც შეისხურა და მეგობარსაც შეასხურა, რის გამოც ორივემ დროებით მხედველობა დაკარგა. ამის მიუხედავად, მათ მაინც მოახერხეს თავდასხმის ადგილიდან თავის დაღწევა.

მას შემდეგ, რაც პრესაში მომხდარის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა, ლეგასმა ფეისბუქში 14 ათასამდე შეტყობინება მიიღო, რომლის ავტორები სინანულს გამოთქვამდნენ მისი ცოცხლად გადარჩენის გამო.

— სამწუხაროა, რომ დათვმა ამ ნაძირალას ბოლო ვერ მოუღო, — დაწერა ერთ-ერთმა თავის კომენტარში.

მონადირე ასეთმა რეაქციამ გააოგნა. მისი თქმით, თავიანთ კომენტარებში ვეგეტარიანელები მას ათასგვარ სისაძაგლეს სწერდნენ, თუმცა, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც მის მხარდაჭერას გამოხატავდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. ბრინჯისგან მომზადებული კერძი; 3. დედამიწის აგებულებისა და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. მოხატული და ორნამენტებით შემკული ჭერი; 5. ყურძნის დასაწური ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12 სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 14. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წრიული მოგზაურობა; 18. მდინარე პარიზში.

**თარაზულად:** 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. ევროპის ყველაზე დიდი მდინარე; 11. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 19. თურქეთის პრეზიდენტი; 20. მხარე გერმანიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ფოკა; 2. ნაურუ; 3. კლონი; 5. ავრორა; 6. სქოლიოზი; 9. აბასთუმანი; 10. ვაშლოვანი; 11. პოლიფონია; 14. გზა; 16. ჩიტაია; 18. კალა.

**თარაზულად**: 1. ფრანკი; 4. ტრავერსი; 7. ლუგანო; 8. ნექტონი; 12. გარდა; 13. ეგეოსი; 15. პლანკი; 17. ომი; 19. პანჩატანტრა; 20. დირსი; 21. კახასა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბარცინო; 2. ეთიკა; 3. მალთაყვა; 4. ხირხატი; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ხერსონი; 14. სუდოკუ; 15. ნუგა; 17. სეიკო; 18. ბრნო.

**თარაზულად**: 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აცტეკა; 10. გარდა; 11. ნოქალაქევი; 13. ესპანური; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. ბურატინო.

## კვიპროსმა საქართველოს 13.000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი აჩუქა

ჟურნალისტმა გოდერძი შარაშიამ ქართველებს სასიამოვნო ინფორმაცია შეატყობინა:

– კვიპროსმა საქართველოს 13 ათასი მ2 მიწის ნაკვეთი აჩუქა.

ქართული სამონასტრო კომპლექსი სოფელ ღალიაში მდებარეობს. ორჯერ ვიყავი გადაღებაზე და ჩემი თვალით მინახავს, როგორ მუშაობდნენ იქ მცხოვრები ქართველები დაუღალავად მონასტრის გათხრებზე, ექსპედიციის წევრები და მამა ზაქარია ანაფორაამოკეცილი წერაქვით ხელში.



უცხოეთის მიწაზე არსებულ ამ ტაძარს ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს მწიგნობრული კერა იყო და თამარ მეფეს არაერთხელ შეუწირავს მონასტრისთვის.

მოკლედ, მინდა მივულოცო ყველას, ვინც ამისთვის წლების განმავლობაში მუხლებგადატყავებული იბრძოდა და ოცნებობდა.

## ვაშინგტონში ქართული ფილმების კვირეული ჩატარდება



13 ნოემბერს ვაშინგტონში ქართული ფილმების კვირეული გაიხსნება. ფესტივალს საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი ერთობლივად წარმოადგენენ.

ერთი კვირის განმავლობაში ვაშინგტონი 6 ქართული ფილმის ჩვენებასა და ფილმების ავტორებთან დისკუსიას უმასპინძლებს.

ნაჩვენები იქნება ქართული ფილმები: „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ – რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი, „არა, მეგობარო“ – რეჟისორი გიო მგელაძე, „დედე“ – რეჟისორი მარიამ ხაჭვანი, „სხვისი სახლი“ – რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე, „საშიში დედა“ – რეჟისორი ანა ურუშაძე და „შემთხვევითი პაემნები“ – რეჟისორი ლევან კოღუაშვილი.

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ქართული ფილმების კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ჩვენებებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## ნინო ანანიაშვილი ლისაბონში იცეკვებს

პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი 3 ნოემბერს ლისაბონში იცეკვებს.

სან-კარლოს თეატრში გალაკონცერტი გაიმართება, რომელიც ფონდ „მირპურის“ დაარსებას ეძღვნება. ფონდი პორტუგალიაში „ცეკვის, მუსიკისა და თეატრის“ ნომინაციაში კულტურული მიღწევების აღსანიშნავად შეიქმნა.



ფონდის პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები. გალაკონცერტზე მიწვეულია პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელიც მარსელო გომესთან ერთად იცეკვებს „ტაისი პა დე დეს“ ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიით. ნინო ანანიაშვილი ასევე იცეკვებს ფოკინის მინიატურას „მომაკვდავი გედი“.

გალაკონცერტში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები ნუცა ჩეკურაშვილი და იონენ ტაკანო, რომლების შეასრულებენ ფრაგმენტს ბალეტიდან „კორსარი“.

## ანდრია გველესიანი: „რატომ გძულთ ასე ერთმანეთი?!“



ამ კითხვით ახმეტელის თეატრის მსახიობმა ანდრია გველესიანმა ქართველ საზოგადოებას მიმართა:

– რატომ გძულთ ასე ერთმანეთი?!

ვერ გაძლა „სასტავი“ ერთმანეთის ჭამით... დრო კიდე გარბის, მეფეებიც თან მიჰყვებიან...

ეეჰ, როგორ გვაკლია ყველას სიყვარული...

## ნიაზ დიასამიძე: „კორუფცია ჩვენში „ნორმალურობის“ სინდრომია“



მომღერალ ნიაზ დიასამიძის განცხადებით, პრივილეგირებულობის განცდა ჩვენი ქვეყნის მთავარი შემაფერხებელია:

– ერთი დიდი ანგარიშით... კორუფცია ჩვენში „ნორმალურობის“ სინონიმია. სსრ-დან მოყოლებული, პრივილეგირებულობის განცდა მთავარი შემაფერხებელია ჩვენი ქვეყნის წინსვლის!

## ამერიკელი ქალი ბლინების ჭამამ შეიწირა

აშშ-ში ბლინების ჭამის შეჯიბრის დროს დაღუპული კეიტლინ ნელსონის ნათესავებმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს ღონისძიების ორგანიზატორების წინააღმდეგ. კონკურსი კონექტიკუტის შტატის წმინდა გულის კათოლიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა სასწავლო დაწესებულების სტუდენტი, 20 წლის ნელსონი. მას შემდეგ, რაც გოგონამ სწრაფად შეჭამა რამდენიმე ბლინი, მას კანკალი დაეწყო და შემდეგ იატაკზე გულწასული დაეცა.



იქ მყოფებმა დაუყოვნებლივ დარეკეს სამაშველო სამსახურში. მანამდე გოგონას გადარჩენას ღონისძიებაზე დამსწრე ორი სტუდენტი გოგონა შეეცადა, რომლებიც მედდის პროფესიას ეუფლებიან. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ ნელსონს სასუნთქი გზები ბლინის ნაწილებით ჰქონდა დახშული. გოგონა თავდაპირველად – ადგილობრივ, შემდეგ კი ნიუ იორკის წამყვან სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

## მყვინთავმა მდინარის ფსკერზე ყველგანმავალი აღმოაჩინა

სნორკელინგის მოყვარულებმა ავსტრალიის მდინარეში ჩაძირული ავტომობილი ტოიოტა ლენდ კრუიზერი აღმოაჩინეს და ვიდეოზე გადაიღეს.



ეს აღმოჩენა ოჯახურ წყვილს კევ და ადელ ჰოკეის ეკუთვნის, რომლებიც ავსტრალიის სანაპიროს გასწვრივ მოგზაურობენ. სოფელ რედ-როკში, რომელიც ახალი სამხრეთ უელსის შტატში მდებარეობს, მათ მდინარეში ჩავარდნილი ყველგანმავალის შესახებ შეიტყვეს და გადაწყვიტეს, მანქანა მოეძებნათ.

– მიყვარს წყლის სიღრმეში ჩაყვინთვა და ეს კი ამის გასაკეთებლად შესანიშნავი მიზეზი იყო, – განმარტა კევმა.

როგორც გაირკვა, ტოიოტა მდინარეში მისაბმელთან ერთად ჩაიძირა. მყვინთავი მანქანასთან ახლოს მიცურდა და დაათვალიერა. ვიდეოს კადრებში ჩანს, რომ გასაღები საკეტში უკეთია. ჰოკეის თქმით, ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჩაყვინთვა იყო მის ცხოვრებაში.

უკან დაბრუნების შემდეგ წყვილი მანქანის მფლობელს შეხვდა. მან მოყვა, რომ მანქანა ღამით ჩაიძირა მდინარეში, იმ დროს როდესაც მისაბმელზე ნავის დატვირთვას ცდილობდა.

– შუაღამე იყო, ის კი იდგა, ნავი ეჭირა და უყურებდა, თუ როგორ მიცურავდა მდინარეში მისი მანქანა, – განაცხადა კევმა. მოგვიანებით მანქანის მდინარიდან ამოტანა მოხერხდა.

## მამაკაცმა ოჯახს ფულით სავსე ჩანთა დაუტოვა და დაიკარგა

ედინბურგში ნაპოვნმა იტალიელმა, რომელიც მეხსიერების დაკარგვას უჩივის, ოჯახს ფულით სავსე ჩანთა და შიფრის კომბინაცია დაუტოვა.

სექტემბრის შუა რიცხვებში 52 წლის სალვატორე მანინო შოტლანდიის დედაქალაქში ტაძრის მახლობლად ცუდად გახდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა მას ვერანაირი საბუთი ვერ აღმოუჩინეს, რომელიც მის პირადობას დაადასტურებდა. მათ დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს.

პოლიციაში მამაკაცი გამართული ინგლისურით ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, რომ ახსოვდა ვინ იყო. გამომძიებლებმა მისი სვირინგებით მოახერხეს იმის დადგენა, რომ მანინო იტალიელი იყო. კონსტებელმა ლესლი ჯეკმა საქმეს „მეტად უცნაური“ უწოდა. პოლიციელებმა განცხადება მამაკაცის თაობაზე გამოაქვეყნეს და მოსახლეობას სთხოვეს მათთვის ეცნობებინათ, თუ მის შესახებ ვინმესთვის რაიმე იქნებოდა ცნობილი.



ამავე დროს იტალიელი პოლიციელები ეძებდნენ მანინოს და ის საძიებო გვერდზე აღმოაჩინეს. მათ ასევე ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ მამაკაცი მეუღლესთან ერთობლივი ანგარიშის დახურვას ცდილობდა და მთელი თანხა მის ანგარიშზე გადაიტანა.

სახლიდან წასვლის წინ მან მაგიდაზე დატოვა ჩანთა, რომელშიც 10,5 ათასი ევრო, მისი მობილური ტელეფონი და ფურცელი იდო, რომელზეც ციფრები ეწერა. ის კოდი აღმოჩნდა, რომელიც მისმა უფროსმა შვილმა, 18 წლის ფილიპომ გაშიფრა. ქაღალდზე ასევე ეწერა: „პატიებას გთხოვთ, თუ შეიძლება, მაპატიეთ, ბოდიში“.

იტალიელის ოჯახი გაოცებულია მომხდარის გამო. ისინი ირწმუნებიან, რომ მანინო გაუჩინარებამდე „მშვიდი და ბედნიერი“ იყო.

მანინოს მეუღლე და უფროსი შვილი ედინბურგში ჩაფრინდნენ, მაგრამ მამაკაცმა განაცხადა, რომ მათ არ იცნობთ. ის სამშობლოში ჩაიყვანეს და პიზას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

## იაპონიაში სიკვდილმისჯილთა უკანასკნელი სადილის რესტორანი გაიხსნა

იაპონიაში გაიხსნა რესტორანი, რომელშიც ორი კვირის განმავლობაში იყიდებოდა კერძები, რომლებსაც სიკვდილმისჯილნი სასჯელის აღსრულების წინ ბოლო სადილისთვის ირჩევდნენ.



რესტორანი სახელწოდებით „ნინგენი“, რაც იაპონურად „ადამიანურ რესტორანს“ ნიშნავს, „წითელი ფარნების რაიონში“ გაიხსნა.

რესტორნის მენიუში წარმოდგენილ კერძებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სამი კერძი სარგებლობდა. პირველი ნაკრები იყო ჰამბურგერი, მოხარშული კვერცხი, გამომცხვარი კარტოფილი და სამი ჭიქა ვისკი – ეს სადილი დახვრეტის წინ შეარჩია და შეუკვეთა მძარცველმა და მკვლელმა გერი მარკ გილმორმა, რომელიც სიკვდილით დასჯილი პირველი დამნაშავე გახდა აშშ-ში 1967 წელს სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის მოხსნის შემდეგ.

მომხმარებლებს ასევე მოეწონათ „შავი ქვრივის“ ჯუდიას ბუენოანოს კერძი, რომელმაც ქმარი და საყვარელი მოწამლა, მდინარეში დაახრჩო 19 წლის ინვალიდი შვილი და კიდევ ერთი მამაკაცის მოკვლას ცდილობდა. მან ელექტროსკამზე სიკვდილით დასჯის წინ მიირთვა ბროკოლი, პომიდორი და მარწყვი.

მომხმარებლებს შორის ასევე პოპულარობით სარგებლობდა სადილი, რომელიც შედგებოდა ქათმის ფრთების, კარტოფილი ფრის, 450 გრამი მარწყვისა და შემწვარი კრევეტებისგან. ასეთი უკანასკნელი სადილი შეუკვეთა მანიაკმა ჯონ უეინ გეისმა, რომელიც „მასხარა მკვლელის“ სახელით იყო ცნობილი.

## ჩინელი მათხოვარი ქალი სინამდვილეში მდიდარი აღმოჩნდა

ჩინეთის ხანჩჟოუს აღმოსავლეთ რკინიგზის მონაკვეთის ადმინისტრაციამ მგზავრებს მოუწოდა ხანდაზმული ქალის წუწუნს გაჭირვებაზე, რომელიც მუდმივად სალაროებთან მათხოვრობს, ყურადღება არ მიაქციონ.



79 წლის მათხოვარი ქალის შვილი ამტკიცებს, რომ მას ბანკებში რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი. მისი თქმით, მათი ოჯახი ფაბრიკას და ხუთსართულიან სახლს ფლობს. ისინი იქ თავად ცხოვრობენ, ხოლო პირველი სართულის ბინები გაქირავებული აქვთ და წელიწადში მათი შემოსავალი 50 ათას იუანს აღწევს.

ამის მიუხედავად, ქალი მათხოვრობას არ ეშვება. ყოველ დილით რკინიგზის სადგურში მიდის და ამას იმით განმარტავს, რომ სახლში ჯდომა არ სურს. ის შვილს ეუბნება, რომ მათხოვრობით ცდილობს ფულის გამომუშავებას იმ დროისთვის, როდესაც სიარულს ვეღარ შეძლებს და მომვლელი დასჭირდება.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**3 ნოემბრისთვის**

აშშ დოლარი — 2.7203

ევრო — 3.0848

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4657

100 რუსული რუბლი — 4.1366

**ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისთვის**




## ჟოზე მოურინიო: „ჩემპიონობის შანსი აღარ გვაქვს“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მის გუნდს წელს ჩემპიონობის შანსი აღარ აქვს, რადგან ისინი ოთხეულშიც არ შედიან.

ჟოზეს აზრით, მანჩესტერის მთავარი მიზანი ოთხეულში შესვლა უნდა იყოს:

– ჩვენ ძალიან შორს ვართ ლიდერებისგან, ამიტომ ჩემპიონობაზე საუბარი უკვე ზედმეტია. ჩვენი მთავარი მიზანი ოთხეულში შესვლა უნდა იყოს და ეს მიზანიც საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ამჟამად მანჩესტერ იუნაიტედი მერვე პოზიციას იკავებს.

## კევინ დე ბრუინე ერთ თვეს გამოტოვებს



მანჩესტერ სიტის ბელგიელი შემტევი კევინ დე ბრუინე ერთ თვეს იუქმებს. ამის მიზეზი ტრავმაა, რომელიც კევინმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო.

დე ბრუინეს ახალი მოშუშებული ჰქონდა ძველი ტრავმა, ამიტომ მისთვის ეს ორმაგად რთული გადასატანი იქნება.

ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ დე ბრუინეს არყოფნა მისი გუნდისთვის ძალიან დიდი დანაკლისია და მას სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა.

დე ბრუინე შარშან მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი იყო.

## მესი ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებს



ლიონელ მესი ჯერჯერობით ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებს და ის არც ნოემბერში გასამართ შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას.

ნოემბრის შუა რიცხვებში არგენტინის ნაკრები ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს და მესი მათში მონაწილეობას არ მიიღებს.

ზოგადად მესი ნაკრებზე კომენტარს არ აკეთებს და უცნობია, საერთოდ დაბრუნდება თუ არა ის ნაკრებში.

არგენტინელ შემტევს ნაკრებში ივნისის შემდეგ არ უთამაშია, როდესაც არგენტინამ საფრანგეთთან 2:4 წააგო. ბევრი ფიქრობს, რომ მესი შესაძლოა ნაკრებში ვეღარც ვიხილოთ.

## ჯეიმი ვარდი: „მომხდარით ძალიან დამწუხრებულები ვართ“



ჯეიმი ვარდიმ ლესტერის პრეზიდენტის სიკვდილზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ ამბით ის ძალიან დამწუხრებულია და ფეხბურთზე კონცენტრაციის მოხდენა უჭირს.

– ის უბრალოდ პრეზიდენტი არ იყო და მას ყველა, როგორც მეგობარს, ისე უყურებდა. ეს უდიდესი ტრაგედიაა და მთელი გუნდი მხოლოდ ამაზე ფიქრობს. ვარჯიშზე კონცენტრაციის მოხდენა გვიჭირს, – განაცხადა ვარდიმ.

ლესტერის პრეზიდენტი შივაი შრივადხანაპრაბჰა 27 ოქტომბერს ავიაკატასტროფას ემსხვერპლა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

მამაკაცი ქალს მიმართავს:

– შეგიძლიათ, საკუთარი თავი ორი სიტყვით აღწეროთ?

– ორი ასოთიც შემიძლია: „ოჰ“.

●●●

კაცს ნათესავი ეკითხება:

– რატომ ხარ საკუთარ ცოლზე განაწყენებული?

– აბა რა იქნება, ჩვენი კატა მთელი დღე ჭამისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებს, მას კი სიგიჟემდე უყვარს.

●●●

მაღაზიაში პატარა ბიჭმა გამყიდველს სათამაშო ფული გაუწოდა და ეუბნება:

– თუ შეიძლება, ის ფუმფულა ვეფხვი მომეცით.

– ეგ რომ ნამდვილი ფული არ არის.

– კი მაგრამ, არც ვეფხვია ნამდვილი!

●●●

ქირურგთან კაბინეტში მადლიერი პაციენტი შევიდა, განკურნებისთვის მადლობა გადაუხადა და თან მაგიდაზე დაულაგა კონიაკი, შამპანური, ხიზილალა, შებოლილი ზუთხი, შოკოლადები.

ამ ყოველივეს დანახვაზე ქირურგი ეუბნება:

– კი მაგრამ, ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ჩემი კუთვნილი ფული ასე გაანიავოთ?!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, 10 წელია, დაქორწინებულები ვართ და ჩემ მიმართ ყურადღებიანი და ნაზი მხოლოდ მაშინ ხდები, როდესაც ფული გჭირდება.

– და მერე რა, ეს არასაკმარისად ხშირად ხდება?

●●●

ასაკოვანი მამაკაცი ფირმაში სამსახურის დასაწყებად მივიდა. დირექტორი ეუბნება:

– იცით, სამწუხაროდ, თქვენ ჩვენთვის შეუფერებელი ხართ, ჩვენ ახალგაზრდა, ამბიციური, შემოქმედებითი ზრდის უნარის მქონე თანამშრომელი გვჭირდება.

– და მაინც ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონის ნომერი.

– რისთვის?

– როდესაც გაირკვევა, რომ თქვენთან ყველანი შემოქმედებითად იზრდებიან, ხოლო სამუშაოს შემსრულებელი არავინაა, დამირეკეთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ზამბიაში უზარმაზარი ზურმუხტი აღმოაჩინეს

ზამბიაში ზურმუხტის უზარმაზარი კრისტალი აღმოაჩინეს. ძვირფასი ქვა, რომლის წონა 5655 კარატს (1,1 კილოგრამი) აღწევს, ოქტომბრის დასაწყისში გემოლოგმა დებაპრია რაკშიტმა და მაღაროელმა რიჩარდ კაპეიტამ კაგემის საბადოში იპოვეს, რომელიც ბრიტანული კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს და რომელიც ძვირფასი ქვების მოპოვებით არის დაკავებული.



კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ქვის უჩვეულო სისუფთავე და მისი იდეალურად დაბალანსებული ოქროსფერ-მწვანე შეფერილობა. მათი თქმით, საბადოს იმავე ნაწილში ბოლო თვეებში უამრავი უჩვეულო ქვა იქნა ნაპოვნი, თუმცა ისინი ამ ნაპოვნთან ახლოსაც ვერ მივლენ მისი ზომის, ფერისა და სისუფთავის მხრივ. ქვას „ინკალამუ“ უწოდეს, რაც ადგილობრივ ბემბუს ენაზე „ლომს“ ნიშნავს.

კომპანიის გემოლოგმა ელენა ბესალიამ მას ინდუსტრიისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა უწოდა. მან აღნიშნა, რომ მაღალი ხარისხის ზამბიური ზურმუხტები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპის წამყვან საიუველირო სახლებში. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, თუ რამდენი დამუშავებული ზურმუხტის თვლის მიღება იქნება შესაძლებელი „ინკალამუსგან“, თუმცა, ერთი რამ ნათელია, რომ ის უეჭველად შევა გემოლოგიის ისტორიაში.

ქვას ნოემბერში სინგაპურის ვაჭრობაზე გამოიტანენ. ის დაახლოებით ორ მილიონ ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული.

ზურმუხტის ყველაზე დიდი კრისტალი, რომელიც ოდესმე აღმოუჩენიათ, არის ქვა, სახელად „ფარა“. ის 1999 წელს კოლუმბიაში იპოვეს და მისი წონა 11 ათას კარატს (დაახლოებით 2,27 კილოგრამი) შეადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 2. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 3. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 5. ქართული ტელეკომპანია; 6. ქალაქ ლვოვის ძველი სახელწოდება; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 1. სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი თბილისში; 4. ძველ ქართულ სამართალში სასჯელი ქურდობისთვის; 7. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 9. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 12. შექსპირის ტრაგედია; 13. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 15. თამაზ მელიავას კინოკომედია; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. სპარსელი პოეტი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

